-47.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

17
18
1930



# პიონერი

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

მუშათა საქმისათვის: იყავ მზად!

# პიონერი

პიონერების და მოსწავლეთა საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი.

საქართველოს ა. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმმართველობის ჟურნალი — ბავშვთათვის.

№ 17–18

სეკტემბერი 1930

წელიწადი მე-5

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 22,
სახელგამი, საბავშო სექცია.

## ამ ნომერში:

— ა. გველესიანი: თვითეულმა პიონერმა უნდა შეისწავლოს მე-16 პარტყრილობის დადგენილებანი.
— გ. ლეჟნიევი: მოვსპოთ ჩვენს სკოლებში ჩვევათა დრომოჭმული სახეები.
— მე-16 ყრილობა—უდიდეს ისტორიულ გადაწყვეტილებათა ყრილობაა.
— კალე ბობოხიძე: პიონერები ყანებში.
— გ. შალვაშვილი: კოლექტივებს ეხმარებიან.
— კომუნარი: ხოცვა უდაბნოში.
— პ. ჩხიკვაძე: მსოფლიო მნიშვნელობის კურორტი.
— ვ. წიკლაური: საბჭოთა მთა.
— მსოფლიო პროლეტარულ ბავშვებს.
— თვით მეფეც კმაყოფილია ჩვენით.
— სეზმან ერთაწმინდელი: ლი-ჩოუ.
— გოგი ლომიძე: ყოფა-ცხოვრების საკითხები პიონერ-ორგანიზაციაში.
— ე. მ.: მეჯინიბე.
— ა. მ—ძე: დაკვრითი ამოცანების შესრულებისათვის ვიყოთ მზად.
— ვასო ჩაჩიბაია: უცხოელი პიონერები ჩვენში.
— ზაქრო დოლიაშვილი: შეხვედრა დელეგატებთან.
— ბ. ჩხეიძე: ტემპი.
— წითელი მხედარი: ჩინეთის ქარტა.
— რევოლიუციონურ ახალგაზრდათა ისტორიიდან.
— ხერხეულიძე: მოზარდთა კულტურისა და დასვენების ბაღი.
— ნიკ. კახურელი: წინ მივდივართ.
— პავლე გუნიავა: ჰიათურის პიონერთა ორგანიზაციის მდგომარეობა და მომავალი ამოცანები.



პიონერები ტრიერზე არკვევენ სათესლეს.

ა. გველესიანი.

# თვითეულმა პიონერმა უნდა შეისწავლოს მე-16 პარტყრილობის დადგენილებანი

მე-16 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს სოციალიზმის შემდგომი მშენებლობისათვის და საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. პარტყრილობის გადაწყვეტილებანი ხელმისაწდომი უნდა გახდეს თვითეული მშრომელისათვის.

პიონერთა ყველა ბიურო ახლავე უნდა შეუდგეს პარტყრილობის გადაწყვეტილებათა პოპულიარიზაციას პიონერთა ჯგუფებში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

თვითეულმა ბაზამ, თვითეულმა პიონერკოლექტივმა უნდა იცოდეს ის ლოზუნგები და ამოცანები, რომელიც პარტყრილობამ წამოაყენა უახლოეს დროში გასახორციელებლად; ამით ის ხელს შეუწყობს პიონერთა პოლიტმომზადების დონის ამაღლებას და პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ადვილად შესძლებს სწორ და გეგმიან ნიადაგზე დააყენოს პიონერ ორგანიზაციების შემდგომი მუშაობა.

მე-16 პარტყრილობის გადაწყვეტილებანი უნდა დაუკავშიროთ სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიან გეგმას და ადგილობრივი დაწესებულებების, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და სხვათა საქმიანობას.

უნდა გამოვიყენოთ ცოცხალი საჩვენებელი ფორმები, ცოცხალი გაზეთები, ყრილობის გადაწყვეტილებათა კუთხე, მუშაობა წიგნზე და გაზეთზე, საწარმოო ექსკურსიები და სხვ.

პიონერაქტივთან უნდა გვყავდეს ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისტები, მათთვის უნდა მოეწყოს სპეციალური სარაიონო კურსები; ეს საშუალებას მოგვცემს დავეხმაროთ პარტიას დაიყვანოს პრატყრილობის გადაწყვეტილებანი თვითეულ მუშამდე, მოჯამაგირემდე და მშრომელ გლეხამდე.

ეხლა უნდა შეუდგეთ პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დაკავშირებას პ.-ორგანიზაციის პრაქტიკულ მუშაობასთან, როგორიცაა:

ა) საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები, მე-16 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა განხილვა, ბავშთა მეორე საერთაშორისო შეკრების საკითხების ფართო ახსნა - განმარტება და სხვა.

ბ) კადრების მომზადების საკითხები, რომელიც უნდა დაუკავშირდეს სკოლების პოლიტექნიზაციას და საერთო სავალდებულო სწავლებას.

გ) სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საკითხები და მესაქონლეობის განვითარების ამოცანები უნდა დაუკავშიროთ პურის აკრეფას, დამზადებას და საშემოდგომო თესვის კამპანიაში პიონერთა პრაქტიკული მონაწილეობის საკითხებს.

დ) პარტყრილობის გადაწყვეტილებათა ახსნა - განმარტების დროს აუცილებელია მივაღწიოთ მიმდინარე სამეურნეო სიძნელეების მიზეზების სრულ გაგებას; ამავე დროს დაუნდობელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ყოველგვარი კულაკური აგიტაციის წინააღმდეგ.

ე) ბ. კ. ო. სარაიონო ბიუროებმა ფართოდ უნდა გაშალონ პარტყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა რაიონებში ბავშთა აქტივისა და პ.-მომუშავეების თათბირის მოწვევის საშულებით ჯგუფებში (კოლექტივებში), რგოლებში, მოედნებში და სხვა.

ვ) სასწავლო წლის დაწყებიდან ყველა სკოლაში პიონერფორპოსტების საშუალებით უნდა გაიშალოს ყრილობის გადაწყვეტილებათა მასიური პროპაგანდა; პიონერპროპაგანდისტებმა მთელი თავისი მუშაობა უნდა ჩაატარონ მე-16 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

შევისწავლოთ პარტყრილობის გადაწყვეტილებანი!





დღეს თამამად შეიძლება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩვენი სკოლები მშრომელთა მიზნებს ემსახურებიან. ამიტომ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენს სასწავლებლებში ფართე ადგილი ეთმობა სკოლის ჩვევათა სწავლებას. მოწაფემ სასწავლებელში უნდა შესძლოს ცოდნის გაფართოება, ამას გარდა სასკოლო საქმიანობის ზოგიერთი სახე უნდა გადაიტანოს ოჯახში.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა სკოლებში ჯერ კიდევ ზოგიერთი ვერ განთავისუფლებულა ძველი, დახავსებული ჩვევებისაგან. ეს ითქმება არა მარტო მოწაფეებზე, არამედ ზოგ „საბჭოთა“ პედაგოგებზედაც. დავიწყოთ სიღნაღის ათწლიანი შრომის სკოლიდან და გამოვამზეუროთ სკოლის ჩვევათა დრომოჭმული სახეები: დილით, როდესაც გაკვეთილი იწყება, მოწაფეები ვალდებული არიან ფეხზე ადგენ, ვითომ მასწავლებლის „პატივისცემაა“. მაგრამ „წითელი პედაგოგი“ პატივისცემის ღირსია ყოველთვის და რა საჭიროა მთელი კლასის ფეხზე ადგომა და გაჩერება 5 წუთით. ეს ხომ ფაშისტური სკოლების და მოწაფეების ჩვევაა. ამას ყურადღებას არ აქცევს ზოგიერთი „პატივმოყვარე“ მასწავლებელი. ასეთები კი არიან ათწლედში: თ. ნაცვლიშვილი, ზ. მირიანაშვილი და სხვა „პედაგოგები“.

ბავშკორი გ. ლეჟნიევი.

# მოვსპოთ ჩვენ სკოლებში ჩვე

ზოგიერთი მასწავლებელი მოითხოვს მოწაფეები მერხებზე ისხდენ პირდაპირ და ხელები უკან ჰქონდესთ; ამას გარდა არც შეცდომის გასწორება, არც დალაპარაკება, გაცინება და სხვა. რას ჰგავს ეს? რას მოუტანს ჩვენს ახალგაზრდობას ასეთი ჩვევა სკოლაში? ცხადია, არაფერს!

ასეთ მეთოდებს მიმართავდენ ძველ სკოლებში, რომ ბავშვები აღეზარდათ ბურჟუაზიის მონა-მორჩილნი. ჩვენი სკოლა კი, რომელიც დღეს ზრდის მებრძოლსა და მშენებელ ადამიანს, თავისი ბუნებით ვერ შეეგუება ასეთ ჩვე-

**„პიონერი“-ს ტირაჟი ეხლაა—3500,**

**მოკლე ხანში ავიყვანოთ 10.000-მდე!**

# მე-16 ყრილობა—უდიდეს ისტორიულ

26 ივნისიდან 13 ივლისამდე მოსკოვის დიდ თეატრში მიმდინარეობდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მე-16 ყრილობა.

ეს ყრილობა ყველა ყრილობასთან შედარებით უფრო მრავალრიცხოვანი იყო. ყრილობამ დაამუშავა სოციალიზმის შემდგომი მშენებლობის ყველა საკითხი.

მოსკოვა, ლენინგრადი, ბაქო, ხარკოვი, დონბასი, ტფილისი, მინსკი, ერევანი.. ქარხნები, ფაბრიკები, მაღაროები, კოლმეურნეობანი, სარეწაოები..

საბჭოების ქვეყნის მთელი პროლეტარიატი მხურვალედ მიესალმა მეთექვსმეტე ყრილობას.

წითელი არმია, წითელი ფლოტი, ამერიკის, ჩინეთის, ინგლისის, გერმანიის და სხვ. კომპარტიები, ქვეყნის ყველა ცოცხალი და შემოქმედებითი ძალა, მეცნიერების წარმომადგენლები, ტეხნიკოსები, შრომის გმირები მიდიოდენ ყრილობაზე მოხსენებებით, ალტაცებით და მისალმებებით.

სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა, სელმაშსტროი, ტურკსიბი, ახალი ქარხნები, მაღაროები, ახალი ორთქლმავლები,—ყველა ეს მე-16 ყრილობისადმი მიძღვნილი საჩუქარია. ძლიერ ტალღად გაიშალა მთელ კავშირში მშრომელთა მილიონების დემონსტრაცია.

მთელი ქვეყნის მშრომელთა ყურადღება მიპყრობილი იყო ყრილობისადმი. ყოველი ქარხანა, ყოველი კოლმეურნეობა მონდომებით ემზადებოდა, რომ ყრილობისათვის დაემზადებიათ ზედმეტი ათასი ტონა თუჯი, ნახშირი, ვადაზე ადრე აემუშავებინათ ახალი საამქროები და ქარხნები, ჩამოეყალიბებინათ ახალი დამკვრელი ბრიგადები, გადაეცათ საუკეთესო პროლეტარები პარტიისათვის ჩამოეყალიბებინათ ახალი კოლმეურნეობანი, დამატებით დაეთესად მე-16 ყრილობის სახელობის ათეული ათასი ჰექტარი და სხვა.

აი რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს ამ ყრილობას.

ჩვენი პარტიის მე-16 ყრილობა ისტორიული ყრილობაა კიდევ იმიტომ, რომ მან გაითვალისწინა საბოლოო გარდატეხა, როგორც მთელი ჩვენი მეურნეობის მოწყობილობაში, ისე ადამიანების ურთიერთობის დამოკიდებულებაშიც.

პარტიის მე-16 ყრილობამ დაამუშავა ბევრი საკითხი: სასოფლო მეურნეობა და კოლექტივიზაციის შემდგომი გაფართოება, ხუთწლედის შესრულება, პროფკავშირები, კომინტერნის მუშაობა და საერთაშორისო მდგომარეობა; მაგრამ ყრილობის მთავარი საკითხი იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში, გაკეთებული მისი გენერალური მდივნის ამხ. სტალინის მიერ.

მიმდინარე მომენტი ითვლება გარდამტეხ მომენტად არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ აგრეთვე მთელი ქვეყნის კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის. ეს გარდატეხა ჩვენში ნიშნავს მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობაში სოციალისტური აღმშენებლობის წინსვლას, ხოლო კაპიტალისტურ ქვეყნებში—მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის კრიზისს (დაცემას), რომელიც დღითი-დღე იზრდება.

კრიზისი თვალსაჩინოა თითქმის ყველა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო კაპიტალისტურ ქვეყანაში. იქ განსაცვიფრებლად იზრდება უმუშევრობა, გლეხობის მილიონიანი მასები ნადგურდებიან.

უმუშევართა რაოდენობა ძირითად კაპიტალისტურ ქვეყნებში (ამერიკა, გერმანია, ინგლისი) 20 მილიონს აღწევს და ყოველდღე მატულობს, ხოლო საბჭოთა კავშირში ამ დროს აღდგენილია და გაფართოებულია მძიმე მრეწველობა (მეტალურგია, მანქანათმშენებლობა), მილიარდებია გადადებული მშენებლობისათვის (ახალი ქარხნები, მაღაროები და სხვა), შექმნილია მთელი რიგი ახალი წარმოებანი, რაც გვანთავისუფლებს საზღვარგარეთზე დამოკიდებულებისაგან. პურის საკითხი მოგვარებულია. მთელი პურის ნახევარზე მეტს, რაც მიდის გასაყიდათ მომხმარებლებზე, ამ წელს საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი მოგვცემენ.

საბჭოთა და კოლმეურნეობანი იზრდებიან და მტკიცდებიან. საკოლმეურნეო ხუთწლედი ორ წელში შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

3

# ავათ დრომოჭმული სახეები

ვას. ჩვენს ახალგაზრდობას არ ახასიათებს ერთ წერტილზე შეჩერება; ის ცოცხალია და მკვირცხლი. ან რასა ჰგავს გაკვეთილის დროს ხელის აწევა. ვკითხულობთ: რისთვისაა მაინც და მაინც საჭირო ხელის აწევა? ალბათ ამასაც თავისი დანიშნულება აქვს, მაგრამ ესეც ხომ ძველი სკოლების ჩვევაა- როდესაც სურდათ მოწაფეები ბრმა იარაღად გამოეყენებიათ და მოწაფეებს დალაპარაკების უფლება არა ჰქონდათ, რასაც თითის აწევით გამოხატავდენ!

დღესაც კი ზოგიერთი მოწაფე ვერ ჩამოშორებია ტრადიციულ ჩვევებს და ხშირად ასე მიმართავს საბჭოთა პედაგოგებს: „ბატონო“, ანდა „ქალბატონო“. ეს იმ დროს, როდესაც ფეოდალური საზოგადოების ნანგრევებიც კი აღარ დარჩა. რა საჭიროა ასეთი ლექსიკონის ხმარება. განა არ შეიძლება დავიწყება? შეიძლება, მაგრამ „ჩვეულება სჯულზე უმტკიცესია“, და სწორედ ამ ანდაზას ამართლებს ზოგი ჩვენი მოწაფე.

სადაა აქ სკოლის გავლენა? ესაა ახალი ადამიანის აღზრდა? ან როგორი გავლენა უნდა მოახდინოს დახავსებულმა ჩვევებმა ჩვენს მოზარდებზე. კრუპსკაია თამაშობის შესახებ შემდეგს სწერს: **„თამაშობით ჩვენ შეგვიძლია აღვზარდოთ მხეციცა და კომუნისტიც“.** კრუპსკაიას ამ აზრს ჩვენ მოვიხმართ სკოლის ჩვევების შესახებ: **„სკოლას შეუძლია აღზარდოს მოწაფე ძველ ტრადიციებზე, თანამედროვეობის ჩამოშორებული, და შეუძლია აღზარდოს ახალი ადამიანიც“.** მაგრამ იმ ჩვევებით, რომელიც დღესდღეობით არსებობს სიღნაღის ათწლედში, შეიძლება თუ არა მებრძოლის და მშენებლის აღზრდა? ჩვენ ვამბობთ, რომ არა! დაბოლოს ვიტყვით, რომ ჩვენი სკოლები უნდა განთავისუფლდნენ სკოლის ჩვევათა დრომოჭმული სახეებიდან. სკოლები უნდა გადაიქცეს „ახალი ადამიანის“ აღზრდის დაწესებულებებად, და არა დახავსებულ ჩვევათა ოთახებად.

**ყველა პიონერი უნდა ავრცელებდეს**

**ჟურ. „პიონერს“!**

# განაწყვეტილებათა ურილობაა

რულდება; გლეხთა ძირითადმა მასამ პირი იბრუნა სოციალიზმისაკენ. ჩვენ უკვე გვაქვს 40 პროც. განსაზოგადოებული მეურნეობა (კოლმეურნეობანი). ხუთწლედის ბოლოსათვის უნდა გვქონოდა 20 მილიონი ჰექტარი, ჩვენ კი უკვე გვაქვს 36 მილიონი ჰექტარი. მრეწველობაში ხუთწლედი ოთხწლედში შესრულდება, ხოლო ზოგიერთ მნიშვნელოვან დარგში კი სამ წელშიც.

ჩვენი წარმოებები სერიოზულად აფრთხობენ მთელი ქვეყნის კაპიტალისტებს, და ისინი მთელი ძალღონით ცდილობენ ხელი შეუშალონ ჩვენი ხუთწლედის მშენებლობას. მაგრამ ჩვენ გვყავს მეგობრები, კლასიური ძმები — საზღვარგარეთის მუშები, რომელნიც ს.ს.ს.კ. ერთგული გუშაგები არიან კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით.

ჩვენ გვყავს სამაგალითო გმირული არმია. ჩვენ თანდათანობით კიდევ უნდა ვამტკიცოთ წითელი არმია და დავიჭიროთ მჭიდრო კავშირი საერთაშორისო მუშათა კლასთან. მაშინ ჩვენ ვერავინ ვერ მოგვერევა.

ჩვენს მშენებლობაში ბევრი სიძნელეა. ჩვენს წინაშე დგას უდიდესი და რთული ამოცანები, რაც უნდა განალდდეს, და მე-16 ყრილობამაც ამ მიმართულებით მოგვცა დაწვრილებითი მითითებანი. ჩვენ რაციონალიზაცია უნდა შევიტანოთ ჩვენს მრეწველობაში და სასოფლო მეურნეობაში, დავარაიონოთ ცალკეულ კულტურებათ. მრეწველობაში უნდა იყოს ცალკეული რაიონები ქვანახშირის, რკინის მადნის ამოღების, თუჯის, საფეიქრო პროდუქციის და სხვ. დამუშავების ხაზით. სასოფლო მეურნეობაში, კლიმატიურ და სხვა პირობებთან შეფარდებით, ნაირ-ნაირი კულტურების განვითარებაც უნდა დანაწილდეს რაიონების მიხედვით: რაიონები ბამბის, პურის, ქერის, ჭარხლის, ჩაის, თამბაქოს და სხვ.

აუცილებელია მომზადება მუშათა წრიდან მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობისათვის საჭირო ხელმძღვანელების, ინჟენრების, აგრონომების. აუცილებელია შეუნელებელი ბრძოლის წარმოება მავნებლობის, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. თუ ჩვენი ნასწავლი ხელმძღვანელები არ გვეყოლება, ისე მალე ვერ აღმოვფხვრით მავნებლობას, ბიუროკრატიზმს და ვერ შევძლებთ ჩქარი ტემპებით ვამოძრაოთ ჩვენი მეურნეობა.

შემდეგ ვისახავთ ამოცანად—ჩქარა განვავითაროთ შავი მეტალურგია და ხუთწლედის ბოლოსათვის ავიყვანოთ თუჯის და რკინის გამოშვება 17 მილიონ ტონამდე. ჩვენ უნდა ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება, გავაუმჯობესოთ მრეწველობა, დავსწიოთ ფასები და საქონლის ხარისხი გავაუმჯობესოთ. ჩვენ უნდა გავადიდოთ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა რაოდენობა, რკინის გზების მუშაობა გავაუმჯობესოთ და ახალი გზები გავიყვანოთ.

ბევრი უნდა გავაკეთოთ მესაქონლეობისა და ტეხნიკური კულტურების (ბამბა, სელი, ჭარხალი, მზესუმზირა) განვითარებისათვის, რომ არ იყოს მოსახლეობის ნაწილობრივი დაუკმაყოფილებლობა ხორცით, რძის პროდუქტებით, მანუფაქტურით და სხვა, რომ ჩვენ არ მოგვიხდეს საზღვარგარეთ ბამბის ყიდვა და სხვა.

არის კიდევ ერთი განსაკუთრებული ამოცანა, რასაც ხაზი გაუსვა ყრილობამ—ეს არის პარტიის რიგების მთლიანობას შენახვა. ყრილობაზე პარტიის შიგნით და მის ცენტრალურ კომიტეტში იყო ამხანაგების ჯგუფი, რომელიც არ ეთანხმებოდა პარტიას ბევრ საკითხში. ის იყო წინააღმდეგი მრეწველობას ჩქარი აღმშენებლობის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის და სხვა. ამ ე.-წ. მემარჯვენე ოპოზიციის ბელადებმა ყრილობაზე აღიარეს თავისი შეცდომები. პარტიამ აგრეთვე სათანადოთ მიუთითა იმ ამხანაგებს, რომელნიც ატარებენ „მემარცხენე“ გადახრებს თავის მუშაობაში. ასე, მაგალითად, „მემარცხენე“ ამხანაგები ცდილობდენ ზოგიერთ რაიონში მოეხდინად სოფლის მეურნეობის გადახალისება არა გლეხების დაჯერების გზით კოლმეურნეობის უპირატესობაში, არამედ ადმინისტრატიული გზით—ბრძანებების და დაშინების გზით.

პარტია მომავალშიც აწარმოებს დაუზოგველ ბრძოლას იმათ წინააღმდეგ, რომელნიც დაარღვევენ პარტიის დირექტივებს, მის მითითებებს, და ერთიანი, შემჭიდროებული, მთლიანი წაიყვანს მშრომელთა მასებს შემდგომი გამარჯვებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერები ყანებში

კალე ბოგოხიძე

ილუსტრაციები მხატ. ნ. თამამშევის

თუმცა სიმინდის
    ღერო ჩამოხმა,
ტაროზე ხვავი
    დარჩა ხალისად,
ამ ხშირ ყანებში
    როცა ჩამოხვალთ,
თქვენ ალტაცებას
    იგრძნობთ ხვალისას.
როცა გუნდებად
    ვეწვევით ყანებს
და კალოსათვის
    ტაროებს მოვტეხთ,—
საერთო შრომა
    კვლავ გაგვახარებს
ჩვენ, პიონერებს.
    კომუნის მოტრფეთ.
ავახმაურებთ
    მდუმარე შარას,
აღარ დავშურავთ
    შრომისთვის ღონეს,
ნამგლებით მოვჭრით
    უამრავ ჩალას,
შევკრავთ უთვალავ
    ჩენგელს და კონებს.





ხშირად ბავშებსაც
    გვაწუხებს ფიქრი,
როგორ დაარჩენს
    არტელი ხარებს,
რომ ჩამოწვება
    დღეები ფითრი
და თეთრი თოვლი
    დაფარავს მხარეს...
ჩვენ შევაგროვებთ
    საკვებს და სილოსს,
წელში გავმართავთ
    შიმშილით გამხდარს,
კვლავ იმედივით
    ამაღლდი, ზვინო,
რომ არ შეუდრკეს
    პირუტყვი ზამთარს.
ჩვენ არ გვჩვევია
    მოვხაროთ ქედი,
რომ ალტაცება
    მშრომელებს მივცეთ,
ჩვენ გავამაგრებთ
    საბჭოთა კედელს
და ურყევ რიგებს
    კვლავ განვამტკიცებთ....





ბ. შალვაშვილი

## კოლექტივს ეხმარებიან

რაკი დილით მზის სხივები
გადმოეწვნის სოფლის მინდვრებს,
ყანებისკენ გაწოლილ გზას
პიონერთა რიგი მისდევს.

— : —

მკერდში ნორჩი გული უფეთქთ
და მიდიან ცეკვით, ხტომით,
რომ კოლექტივს დაეხმარონ
ბეჯითად და მტკიცე შრომით.

— : —

მინდორში კი კოლექტივი
ტრაქტორებით ებრძვის მიწას,
რომ მომავალ გაზაფხულზე
სამყოფისი საზრდო მისცეს.

აქ არავის აღარა აქვს
დაწოლილი გულზე სევდა,
თუ კი შეხვდათ მათ სიძნელე,—
მოღუნავენ ყველა ერთად.

— : —

ჰა, მივიდენ და მოჰკიდეს
მუშაობას მტკიცედ ხელი.
ვერა გრძნობენ შრომით დაღლას,
წინ მიდიან ცეკვით, ლხენით.

გლეხები კი უცქერიან
გაკვირვებულ სიხარულით,
თან ამბობენ: „შრომისათვის
ნუთუ ასე უცემთ გული?“.

— : —

მიწებიდან ამოწმინდეს
ჩამარხული ქვა და ლოდი,
თუ ჩამორჩა ამხანაგი,
არ უცდიან იმის ლოდინს.

— : —

გაათავეს სამუშაო,
ცას სიბნელე ეპარება,
სახლისაკენ მისდევს ბილიკს
პიონერთა ნორჩი წყება.

**არც ერთი პიონერი უჟურნალოდ!**




**ამხ. სტ. შაუმიანი**

გრავიურა ხეზე მხატვარ **არარატ გარიბიანცის**

**კომენარი**

# ხოცვა უდაბნოში

ეს მოხდა 1918 წლის 20 სექტემბერს...

შემოდგომის სევდიანი გამოხედვა რუხი დღეების...

იქ, სადაც სიცხით აფორიაქებულ უდაბნოში ქარი თუ ნავარდობდა ფრთააწყვეტით და დაღლილ აქლემთა ქარავნები მიიზლაზნებოდენ ზანტად საითღაც, შავი გველებივით გაწოლილ ლიანდაგზე ქუდმოგლეჯილ გაქცეულივით მიჰქროდა ორთქლმავალი და მიათრევდა ჭრელ კუდს—სხვადასხვაფერის რონოდებს...

ამ მატარებლით საქონლის რონოდაში მიჰყავდათ ბაქოს კომუნის 26 კომისარი: ამხ. ამხ. სტეფანე შაუმიანი, ალიოშა (პროკოფი) ჯაფარიძე, ვანია ფიოლეტოვი, გიორგი ყორღანოვი, აზიზბეკოვი და სხვები—უცნობი მიმართულებით...

ისინი ტყვეები იყვნენ მენშევიკ-ესერთა, მუსავატ-დაშნაკთა შეერთებული ბანდის, რომელიც მონა იყო ინგლისის იმპერიალიზმის...

რამდენიმე დღის ხეტიალის შემდეგ მატარებელი შეჩერდა ეგრედწოდებულ მე-207 ვერსზე, უდაბურ ადგილას; რამდენიმე დღის ტანჯვისა და სიკვდილის მოლოდინით დაღლილი, მაგრამ სულით ძლიერი კომისრები გადმოიყვანეს, მხეცურად ამოხოცეს...

ეს ყო 12 წლის წინად...

მუდამ რევოლუციონურმა ბაქოს პროლეტარიატმა კომპარტიის ხელმძღვანელობით, მაშინ, როდესაც საქართველოში უფლობდენ მენშევიკები, სომხეთში—დაშნაკები, ადერბეიჯანში—მუსავატები,— ხელთ იგდო ბაქო და გამოაცხადა კომუნა, საბჭოთა ხელისუფლება.

და შეუტიეს კომუნას ოსმალეთის ასკერებმა, რომელნიც მუსავატელებმა მოიწვიეს, გენერალ ბიჩერახოვის ყაზახებმა, რომელიც მსოფლიო ომის შემდეგ ბრუნდებოდა სპარსეთიდან და იმიერ-კასპის მხრით ინგლისელებმა.

კომუნა დაეცა უთანასწორო ბრძოლაში...

— ჩვენ მივდივართ, მაგრამ კვლავ მოვალთ და ჩვენსკენ იქნება გამარჯვება!—სთქვა ამხ. შაუმიანმა მაშინ, როცა შეატყვეს დამარცხება აუცილებელი იყო და კომუნის მთავრობა გადადგა.

ეს სიტყვები ესმოდა აგრეთვე კაპიტან რეჯინალდ ტიგ-ჯონსს—ინგლისის მთავრობის წარმომადგენელს ბაქოში,—ის გრძნობდა, თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვები და აკი ამოახოცინა კიდეც...

და არ გაუვლია ორ წელს, რომ მართლაც ასრულდა შაუმიანის სიტყვები: ისინი მოვიდენ ისევ და მოვიდენ სამუდამოდ გამარჯვებულნი..

ბაქოში აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების დროშა...

წითელი ბაქო საბჭოთა ნავთით თვალებს ულანძავს ხარბ იმპერიალიზმს, გამარჯვებული მიიწევს წინ სოციალისტური შენებით და ხუთწლიან გეგმას ოთხ წელში უტევს საბჭოთა კავშირის საამაყოდ...

ამ ბრძოლისა და გამარჯვების პირველი პიონერები იყვნენ „ქართა ქალაქის“ არწივები, თავდადებული კომისრები ნორჩი კომუნის...

ისინი იყვენ 26.

აი ვის ვიგონებთ ყოველ 20 სექტემბერს, რომელიც იმავე დროს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის დღეა.



**ამხ. ალ. ჯაფარიძე**

# მსოფლიო მნიშვნელობის კურორტი *)

სათაური მხატვარ

### კ. ჩხიკვაძე.

## ისტორიული ძეგლები

გაძლიერებული კვებისა, კლიმატიური მეურნალობისა და სანატორიული რეჟიმის დაცვის გამო, გამოცოცხლდნენ ლოგინად ჩავარდნილებიც, ფეხზე წამოდგომა სცადეს და სანატორიუმის ეზოში გამოეფინენ.

სასწაულს ახდენს აბასთუმანი ქლექიანებზე...

ბევრისათვის უკვე ნებადართულია ფიჭვნარში გასეირნება, ან კიდევ სანატორიუმის ეზოში „კროკეტისა“ და ჭადრაკის თამაში.

— გავისეირნოთ, — შემოაქვს ზოგს წინადადება.

— სით?

— აი, თუგინდ ტაძარი დავათვალიერეთ.

— რომელი ტაძარი, ან რით არის საინტერესო?

— ეს არის ყოფილი დიდი მთავრის გიორგის ტაძარი, იშვიათი ოსტატების და მხატვრების ნამუშევარი.

ტაძრის აგება დაუწყიათ 1896 წელს და დაუსრულებიათ 1898 წელს, — ასე სწერია მარმარილოს დაფაზე.

მოვინახეთ კომენდანტი (კომენდანტს აბარია ამჟამად გასაღები, რადგან ტაძარი სიძველეთა დაცვის კომიტეტის განკარგულებაშია გადასული, რის გამო ის გადარჩენილა დანგრევას, მის ადგილას კლუბის აშენების საკითხიც შეფერხებულია).

გავაღეთ იშვიათ ოსტატობით ანაგები ტაძრის კარი... საშინელი სინესტის სუნი და კანდელიდან მოვარდნილი ყრუ ხმაურობა ვიგრძენით... საოცარია ვოსნეცოვის მხატვრობა, ცნობილ მხატვრის ნესტოროვის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით ნახატი.

მეტ წილად ქართველი ტიპები...

ქრისტეს ვიღაც კი ახალციხური ჯიშისა და სიდიდის...

— ზარზმის ტაძრის ასლთა ნაგებობის გეგმის მიხედვითაა, — განმარტავს სიძველეთა მცოდნე, შუახნის კაცი, რომელიც დასასვენებლად ჩამოსულა აბასთუმანში.

— კედლები — რუხი და თაფლისფერი ქვა.

სახურავი — ნაცრისფერი ფიქალი.

ტაძარი მუზეუმის დანიშნულებას ასრულებს ამჟამად აბასთუმანში.

ოძრხედან მოუტანიათ ნანგრევებში ნაპოვნი ქვები წარწერებით. ყურადღებას იპყრობს ნახევარ მეტრის სიგრძისა და ერთი მ... ის სიგანის ქვა...

ქვა ნათალი და ნაჩუქურთმევი.

შუა ადგილას გამოსახულია მწოლიარე ლომი.

ლომის მარცხენა და მარჯვენა მხარეს (ქვის კიდურებთან) თითო მნათობია.

მარჯვენა მნათობის გულში — ადამიანის ჩანასახი. ლომის ქვეშ — თოფისებური ორნამენტი. ორნამენტ ქვეშ წარწერა — ასომთავრული (წარწერა იწყება „ქ. შ.“ დანარჩენი ვერ ამოვიკითხე).

მეორე ქვა (კედლის ქვასა ჰგავს) უფრო ძველი უნდა იყოს.

ეს ქვები ისტორიული მნიშვნელობისაა და ფრიად მნიშვნელოვანი ძველი ოძრხეს კულტურისა და სხვა ისტორიული ცნობების აღდგენისა და დათარიღებისათვის.

სამწუხაროა, რომ სინესტის გამო მხატვრობის იშვიათი ნიმუშები ფუჭდება და ნაფლეთებად მოცვივა ძირს...

ტაძრის წინ — ლენინის ძეგლი.

ასე რომ, ერთის მხრივ — სიძველეთა გომომხატველი დახესტიანებული ძეგლები, მეორეს მხრივ — აზვირთებული ეპოქის შეუდარებელი მებრძოლისა და ღირსეული ბელადის ძეგლი...

კონტრასტი... პოლუსები...

## ცოცხალი მატიანე

აბასთუმნის მინერალური წყლები ძველიდანვე ცნობილია ისტორიაში. ვახუშტის გეოგრაფიაშიც არის მოხსენებული ამ წყლების შესახებ.



სოცუზრუნველყოფის სანატორიუმი

მაშინ აბასთუმანი არ ერქვა ამ ადგილებს. აქ ოდესღაც ქალაქი ოძრხე ყოფილა გაშენებული. საშუალო საუკუნეებში დაბა ოძრხე. სულ ბოლოს მოსახლეობა მხოლოდ აბასთამანში ყოფილა. ამ დროს იპყრობს რუსეთი ახალციხის ამ მხარეს ოსმალეთისაგან (1828 წ.) აბასთუმანი დაერქვა ნაცვლად ძველი ოძრხეს ანუ ოცხესა.

როგორც კლიმატიური სადგური, აბასთუმანი ცნობილია გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან. რუსის ჯარის ნაწილები იდგა მაშინ აბასთუმანში, სადაც ექიმებმა შენიშნეს, რომ აქაური კლიმატიური პირობები საუკეთესო გავლენას ახდენდა ჭლექით ავადმყოფ ოფიცრებზე.

დაიწყო ყოველმხრივი შესწავლა აბასთუმნის, როგორც კლიმატიური სადგურის, და როცა დაგროვილი მასალებიდან გამოირკვა, რომ აბასთუმანი არამც თუ ჩამორჩება მსოფლიოში ცნობილ დავოსსა და სხვა კურორტებს, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში უპირატესობაც კი აქვს ყველა დანარჩენ კურორტთან შედარებით, დაიწყო აბასთუმნის, როგორც კლიმატური კურორტის, გაშენება.

ამჟამად აბასთუმანი გამოსულია პრიმიტიულობის ბურუსიდან.

ელექტრო-განათება, წყალსადენი, სანატორიუმები, პოლიკლინიკა, პანსიონატი, რენტგენის კაბინეტები და საუკეთესო სასტუმრო, — უდავოდ ევროპული სტილის კურორტად ხდის აბასთუმანს.

— მოხუცი მოვიდა, — შემომძახეს ერთ დღეს ამხანაგებმა, როცა მეორე საუზმის შემდეგ სასადილოდან ეზოსკენ გავემგზავრეთ (სანატორიუმში დღეში ხუთჯერ კვებავენ ავადმყოფებს, ასე რომ ყოველ ორ საათში სასადილოს სტუმარია ავადმყოფი, რის გამო შორს წასვლა სანატორიუმის ეზოდან არც კი შეიძლება).

გამეხარდა: ეს ის მოხუცია, ახალციხეში რომ გამაცნეს.

გავექანე ეზოსკენ.

ვიხედები აქეთ-იქით. ვაკვირდები.

მოხუცს, ას ორმოცი წლის მოხუცს. აქ ვერსად ვხედავ.

აგერ სკამლოგინზე ზის 60-70 წლის მოხუცი.

— ეს როგორ იქნება, შეუძლებელია,— გავიფიქრე მე.

— აი, „თქვენი“ მოხუცი,— ღიმილით შემომხვდენ ამხანაგები.

გავოცდი, გამიკვირდა.

— ას ორმოცი წლის მოხუცი და ასე ყოჩაღი? — ჩავილაპარაკე ჩემთვის იმ ანგარიშით, რომ მოხუცი ამას ვერ გაიგონებდა.

— ას ორმოცისა არა ვარ, შვილო, ას ოცდათვრამეტისა ვარ, არ დააყოვნა მან პასუხი ჩემს გაოცებაზე.

— გამარჯობა, ბაბუ, ხომ ყოჩაღად ხარ?

— სალიამ ალეიქუმ, ზრასტი, გაგიმარჯოს, — იყო პასუხი. სამივე ენა ესმის მოხუცს და ამის ნიშანი იყო სამ ენაზე მოსალმებაც.

— ას ოცდათვრამეტი წლის. რამდენი დრო და ხანია, რამდენი მანძილი!

ცალი ფეხით მეთვრამეტე საუკუნის მიწურულზე დგას ეს „ცოცხალი მატიანე“, მეორეთი კი მეოცე საუკუნის პირველ ნახევარზე... ზღაპრულია... ლეგენდარულია, მაგრამ სინამდვილეა.

საშუალო ტანის ჯმუხი მოხუცი...

წამოჭარხლებული. გაჯეჯილი თმა და წვერ - ულვაში ჯერ მხოლოდ სანახევროდ ჭაღარა.

კარგად ესმის, მხედველობაც ნორმალური აქვს, მხოლოდ ჭამის დროს ხელები უკანკალებს და წვნიანი საჭმელი ელვრება. კოვზს ვერ იმაგრებს ხელში.

*) გაგრძელება, იხ. მე-15—16 №-ში.

— ბაბუ, გვიამბე რამე ძველი წარსულიდან.

— ე, შვილო, რას უნდა მოვყვე. მოვხუცდი, გამოვყეყეჩდი, სიკვდილმა დამივიწყა, — საყვედურობს მოხუცი. — ბევრი კარგი მინახავს ჯეელობაში, მაგრამ ბევრი ტანჯვაც გამივლია. რვა შვილის და შვილიშვილების დამმარხველი ვარ. მე გავუძელი გასაჭირს. მხოლოდ ცოლმა იმდენი იტირა, რომ კარგახანია ორივე თვალით დაბრმავდა.

— ცოლი რამდენი წლისაა?

— ას თორმეტის. პირველი ცოლია.

— შენ თათარი ხარ არა?

— თათარი. გოდერძიშვილი ყოფილა ჩვენი გვარი. მამა თათარი იყო, ის ას ორმოცი წლის მოკვდა, ორი წელიწადი რომ კიდევ გაეძლო, მამის ხნის მოვკვდები მეც. ჰო. იმას ვამბობდი, — ავიწყდება სიტყვა მოხუცს, — რა ვთქვი?

— აი, მამა თათარი იყოო.

— ჰო, მამა თათარი ყოფილა. მაგრამ წინად ქართველი იყო ჩვენი წინაპარიო, — ასე იტყოდა მამაჩემი.

— კი, მაგრამ რა ჩანს, რომ ას ორმოცდათვრამეტი წლისა ხარ?

— მქონდა საბუთები. საბუთები დაიწვა. როცა გადამწვეს.

— ვინ გადაგწვა?

— მტრობა იყო... გადამწვეს... — მოკლედ პასუხობს მოხუცი და რაღაცას იგონებს.

— მე მახსოვს, როცა ერეკლე ხანის შემდეგ კნიაზ მიცკევიჩმა დაგვიპყრო, მე მაშინ ასე ოცდაათი — ოცდათერთმეტი წლის ვიქნებოდი. (და მართლაც, ახალციხის დაპყრობა მოხდა 1828 წელს, ასე რომ მოხუცის მოგონება თითქმის ეთანხმება ისტორიულ ცნობებს). ისე მე მახსოვს, ისე რომ ოძრხეში, ამ ადგილის წინად ოძრხეს ეძახოდით, — არავინ ესახლა, ტყეები არ იყო და იქ, სადაც აბანოებია, იყო ტანსაბანი, სადაც მახლობელი სოფლებიდან ჩამოდიოდენ სოფლელები და ბანაობდენ... ტყე მერე მოშენდა... 70 წლის იქნება ეს ტყე. ზეკარისაკენ კი იყო ტყეები...

— არაზინდოში?

— არაზინდოს მხარეზე იყო ტყე. დაბლა ოძრხეში ველი იყო. ტიტველი გორები.

— ახალციხეში ყოფილხარ ახალგაზრდობაში?

— იქ დავიბადე და გავიზარდე, როგორ არ ვყოფილვარ. ახალციხეში ციხის გარდა ... არაფერი იყო და გარშემო რომ გაუ... ტყეები იყო, მე კარგად მახსოვს. მე... ტყე გაჩეხეს. ქალაქი ააშენეს და ახლა ... ნახე, სულ მოტიტვლებული ქედებია ჩანს გარშემო.

— ტფილისში ყოფილხარ?

— როგორ არა.

— რკინის გზით თუ.

— არა, ფურგონით. რკინის გზა სად იყო მაშინ. ფურგონით დავდიოდით ... ვაჭარი ვიყავი. ტფილისი აბანოებთან ... გაშენებული, ერეკლე ხანის აბანოში ... ვბანავენია. ზარაფხანას ქვემოთ. შამადხანის ... ხის დაბლა.

— რომელი ზარაფხანის? — განგებ ვეკითხები მოხუცს.

ერეკლე ხანს რომ ზარაფხანა ჰქონდა. მე ერეკლე ხანი არ მინახავს. მარა სასახლე მინახავს. მეტეხი წყალს გაღმა, ქალაქი მაშინ იქ იყო. განჯაშიც ვყოფილვარ. შუშაყარაბახში.

— რატომ მიდიოდით ამსიშორე გზაზე?

— ვვაჭრობდით, ვეცნობოდით ქვეყანას, ვქეიფობდით, — იხრავს მოხუცი.

რა შორეული წარსულია ერეკლე ხანის (მეფის) ზარაფხანიდან ჩვენამდე, რამდენი რა მომხდარა ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი და საკაცობრიო მნიშვნელობის, „ცოცხალი მატიანე" კი გულგრილად იგონებს ყოველივეს და არც კი სწუხს, რომ ძას არ ჰქონდა ცნობების ჩაწერისა და საერთოდ მწიგნობრობის საშუალება.

რამდენი რამ უნახავს მოხუცს თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში, რამდენი რამ გამოუვლია, მაგრამ.

— ქორონიკონს ველარ ვიგონებ. მახსოვრობა აღარ შემორჩილება, — წუწუნებს მოხუცი და სიკვდილს ნატრულობს.

— აღარც კბილები მაქვს. მესამე წყება კბილი ამომივიდა, ორი აქ მომთხარეს და მოსკოვს გააგზავნეს, ორი-სამი კბილი დამრჩა ახლა. მიჭირს ცხოვრება, მიჭირს.

---

ვ. წიკლაური

## საბჭოთა მთა

მე ვ[illegible]რდები
წარსულ გოდებას,
როცა შუღლი და
ომი ჰკიოდა,
როცა ქისტების
რაზმი ხევებში
მოსისხლე მტრებად
გამოდიოდა.
აწიოკებდენ
მოსახლეობას.
იყო ხევები
ბურუსიანი,
სისხლის ტბა იყო.
სისხლში სცურავდა
ახალგაზრდობა
მუდამ ხმლიანი.
და გრძელდებოდა
ასე დღეები,
სანამ ნისლები
იყო ულევი,
სანამ ბრძოლის და
შემოქმედების
სხივი არ მოხვდა
ნაალმურებს.
გადაიარა
დღემ ნაღვლიანმა,
გამოიღვიძა
მთელმა ხეობამ
და ოქტომბერმა
მშენებლობაში
ჩააბა ხევის
მოსახლეობა.
ახლა კი, როცა
დიად განთიადს
ჩამოუქროლებს
შრომის ნიავი:
მეც მიხარია,
რომ ანდეზიტში*)
მუშაობს ხევის
ადამიანი.

*) საწარმოო ადგილია მთიულეთში.

**ავსწიოთ ჟურ. „პიონერის" ტირაჟი!**

— ვის კმაყოფაზე ხარ, ბაბუ?

— ახალმა ხანმა (ამხ. ფ. მახარაძეს, როგორც მთავრობის თავმჯდომარეს, ხანს უძახის) პენსია დამინიშნა. 25 მანეთს მაძლევენ. დანარჩენს ასე თქვენსავით ჯეელები მწყალობენ, და ვცხოვრობ.

როგორ კმაყოფილია მოხუცი პენსიის დანიშვნით. „ახალმა ხანმა დამინიშნა" — ღიმილით წარმოსთქვა მოხუცმა და სანატორიუმის სამზარეულოს გადახედა, — ალბათ, სადილი როდის იქნებაო.

ჯანმაგარია და მხნე 138 წლის მოხუცი. წელში მოხრა არც კი ეტყობა.

უყურებ და არ გჯერა.

ნუთუ ეს კაცი ერეკლე მეფის დროს დაბადებულია და დღეს ბარაბანზე პიონერების ბრახუნს უგდებს ყურს საბჭოთა აბასთუმნის მიდამოებში.

ნუთუ აბასთუმნის რბილსა და ზომიერ კლიმატურ პირობებს გარეშე შეეძლო მოხუცს თითქმის საუკუნენახევარის გადაჯირითება?

რასაკვირველია, არა.

აბასთუმნის რბილი კლიმატური პირობები, ... შთამომავლობა და ხელსაყრელ პირობებში ცხოვრება ახალგაზრდობიდანვე, ალბათ, შეიქმნა გოდერძიშვილის დღეგრძელობის თავდები.

უკვე ზარი იყო.

სადილზე გვეპატიჟებიან სანატორიუმში. მივიჩქარით, თითქო ქარხნის საყვირზე დაზგებთან ვეშურებოდეთ.

### აბასთუმანი მომავალში

ჩვენ აღვნიშნეთ აბასთუმნის, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის კურორტის, პრიმიტიულობის ბურუსიდან გამოსვლა და მისი ევროპული სტილი, მაგრამ აბასთუმნის აყვავებისა და ზრდის პერსპექტივა მომავალშია.

ოთხი სანატორიუმი ამშვენებს ამჟამად აბასთუმანს.

მათ შორის ყველაზე ახალი და, მაშასადამე, ტეხნიკის უკანასკნელი მიხედვით მოწყობილია სოცდაზღვევის სანატორიუმი 150-180 საწოლით. უფრო ძველია არაზინდო, 300-ზე მეტი საწოლით, და ორი შედარებით უმნიშვნელო სანატორიუმი.

ერთი შეხედვით აბასთუმანი მაინც პრიმიტიული კურორტის შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე.

აბასთუმანი მოელის რკინის გზას, შიგ კურორტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტროგზას, ხეივნების განათებას და კულტურული ბილიკებით დასერვას იმ მიდამოებისას, სადაც ამჟამად ფიჭვნარი ახეთქილა, ხოლო ავადმყოფებს აღმართების გამო ვერ მოუხერხებიათ იქ ასვლა.

ამისათვის საჭიროა ურიცხვი თანხა, პროექტები, გეგმები.

ჩვენ ველოდებით ამ გეგმებსა და პროექტებს ჩვენი წითელი ინჟინრებისაგან, საბჭოთა სპეციალისტებისაგან.

ჩვენ ველოდებით ამ გეგმებისა და პროექტების დამკვრელი ტემპით განხორციელებას.

მაშინ გახდება აბასთუმანი ჯანმრთელობის ნამდვილი სამჭედლო, შეუდარებელი და უბადლო მსოფლიო კურორტი, და შვეიცარიელებიც კი გვერდს აუვლიან დავოსს და სიამოვნებით ისარგებლებენ აბასთუმნის გაცილებით უფრო რბილი კლიმატური პირობებით, აბასთუმნის მკურნალი ცხელი წყაროებით.

მაშინ აბასთუმანს ავსტრალიაშიც კი გაიცნობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო პროლეტარულ ბავშვებს!

(მეორე საერთაშორისო შეკრების მიმართვიდან)

პროლეტარულ ბავშვთა მეორე საერთაშორისო შეკრება მოხდა იმ დროს, როდესაც მთელი კაპიტალისტური სამყარო შეპყრობილია მძიმე ეკონომიური კრიზისით.

ამ კრიზისიდან გამოსვლის ძიებაში ბურჟუაზია აძლიერებს მუშათა კლასზე შეტევას, დასახმარებლად უხმობს ფაშიზმს. მხოლოდ გერმანიაში კაპიტალისტურმა რაციონალიზაციამ შიმშილისა და სილატაკის ამარა დასტოვა ოთხ მილიონამდე უმუშევარი. შიმშილი ერეკება მუშათა ბავშვებს ქარხნებისაკენ. პატარა პროლეტარები მუშაობენ 10—12 საათს დღეში და ღებულობენ მეოთხედ ხელფასს უფროსებთან შედარებით. მუშებისა და მათი ბავშვებისადმი ასეთ გაუგონარ ექსპლოატაციას ბურჟუაზია თავისი ერთგული ლაქიების სოციალ-დემოკრატების დახმარებით ანხორციელებს.

კონგრესი შესდგა იმ დროს, როდესაც იზრდება და ფართოვდება რევოლუციონური მოძრაობა. უფრო და უფრო მეტი პროცენტი მშრომელებისა ერთიანდება კომინტერნის დროშის ქვეშ, გაფიცვებისა და ამბოხების ძლიერი ტალღა მოედო მთელ ქვეყანას. წარმოუდგენელი და გაუგონარი ტემპებით აშენებს სოციაილზმს ჩვენი სამშობლო—საბჭოთა კავშირი.

კაპიტალისტებს ეხლა არ შეუძლიათ დაფარონ ჩვენი მიღწევები; ისინი გაცოფებით ცდილობენ ომის საშვალებით ჩაახშონ ის.

საბჭოთა კავშირი გარშემორტყმულია ფაშისტური სახელმწიფოებით. ისინი საზიზღარ პროვოკაციებს ავრცელებენ სბაჭოთა კავშირის წინაალმდეგ და ცდილობენ დაასამარონ სოციალისტური მშენებლობა.

პროლეტარულ ბავშთა მეორე საერთაშორისო კონგრესი მიმართავს მთელი ქვეუნის პროლეტარ ბავშებს:

ვის გაყვებით თქვენ პროლეტარო ბავშებო!

ნუ თუ გაყვებით ბურჟუაზიას, რომელიც ჯიბეს ისქელებს თქვენივე მამების კუნთებისა და სიმშილის ხარჯზე.

გაჰყვებით თუ არა თქვენ ცერგიბელის სისხლის მღვრელ სოცილა-დემოკრატებს, რომელნიც ყველგან და ყოველთვის ღალატობენ და ჰყიდიან მუშებს, რომლებმაც აკრძალეს ჩვენი შეკრება ჰალეში.

გაჰყვებით თუ არა თქვენ კათოლიკურ და სარწმუნოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ ბურჟუაზიას ღვთის სახელით მუშათა კლასის ჩაგვრაში.

გაჰყვებით თუ არა თქვენ ფაშისტებს, რომლებიც დაუნდობლად და შეუბრალებლად სცემენ და ჰყრიან საპყრობილეებში რევოლუციონურ ბრძოლებში მონაწილე მუშებსა და კომუნისტებს.

თქვენ გაჰყვებით კომპარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელობის ქვეშ დარაზმულ და მუშათა კლასის ინტერესების ერთადერთ დამცველ ორგანიზაციას — ბავშთა კომუნისტურ მოძრაობას.

იბრძოლებთ თუ არა თქვენი და თქვენივე მშობლების ექსპლოატაციის წინაალმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის დასაცავათ. იმისთვის, რომ თვით მუშები და გლეხებ ფაბრიკა-ქარხნებისა და მიწების ბატონ-პატრონი გახდენ

## ბრძოლა ბავშთა მასების დაპყრობისათვის დღითი დღე მწვავდება

ბურჟუაზიას და მის სოციალისტ ლაქიებს კარგათ ესმით, რომ მომავალი ბავშებზეა დამოკიდებული. ისინი ყოველგვარი ხერხებით ცდილობენ გავლენა იქონიონ ჩვენზე. მათ სკოლას კაპიტალიზმის სამსახური დააკისრეს. ისინი გვასწავლიან ჩვენ ცრუ მორწმუნეობას, ახშობენ ყოველგვარ თვითმართველობას, გვცემენ გაკვეთილებზე და გაკვეთილების შემდეგაც.—აცხადებენ რა, თითქოს ბავშებს არ ჰქონდეთ უფლება ჩაერიონ უფროსების საქმეში, ესე იგი პოლიტიკაში. სინამდვილეში ისინი, კულტურული და სასპორტო გასართობების სახით ცდილობენ აღზარდონ კაპიტალისტური წესწყობილების საიმედო ლაქიები და მონები.

ჩვენი ამხანაგები, პროლეტარი ბავშების ათასები უკვე წამოეგენ წითელ შევარდენის, ბოისკაუტების და სხვა ბურჟუაზიული ორგანიზაციების ანკესზე. ჩვენ უნდა გამოვგლიჯოთ მათ ჩვენივე ამხანაგები. ჩვენ უნდა ავუხსნათ მათ, რომ ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული საბავშო ორგანიზაციებში შესვლით ისინი ღალატობენ მუშათა კლასის საქმეს. ჩვენი მამებისა და დედების მაგალითების მიხედვით, მთლიანი ფრონტით უნდა ვიბრძოლოთ ჩვენივე ინტერესებისათვის, უკეთესი ცხოვრებისათვის.

## მუშებისა და გლეხების ბავშებო სმენა!

არის ქვეყანა, სადაც პროლეტარული ბავშები სრულიად თავისუფალნი არიან, სადაც არ არსებობს მუშებისა და მათი შვილების ექსპლოატაცია. სადაც წარმატებით შენდება სოციალიზმი.

ეს ქვეყანა არის საბჭოთა კავშირი—ჩვენი სამშობლო, შრომის სამშობლო.

ჩვენ ვუგზავნით მხურვალე სალამს საბჭოთა კავშირის პროლეტარულ ბავშვებსა და პიონერების ოთხმილიონიან არმიას. ჩვენ მოვუწოდებთ მუშებისა და გლეხების ყველა ბავშვს საბჭოთა კავშირის დაცვისაკენ.

მუშათა კლასის საერთო ბრძოლაში მონაწილეობისა და პროლეტარულ ბავშთა მასების დაპყრობის ახალი და მძიმე ამოცანების წინაშე მდგომი მეორე კონგრესი ადგენს: „გაერთიანებულ იქნეს რევოლიუციონურ ბავშთა ყველა ორგანიზაცია (ნორჩი სპარტაკელები, საერთაშორასო მუშათა დამხმარე ორგანიზაცია, წითელი სპორტი, რემედასი) ერთ მთლიან პროლეტარულ რევოლიუციონურ ბავშთა მოძრაობაში“.

ამ მოძრაობის დროშის ქვეშ მთელ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას გავჟღენთავთ ცოცხალი ენტუზიაზმით. მრავალრიცხოვან წრეებსა და სექციებში ჩვენ ჩავატარებთ სპორტს, მუსიკას, სიმღერას, თამაშობებს, ექსკურსიებს, კითხვას და ყველაფერს ამას გავჟღენთავთ კლასობრივი რევოლიუციონური შინაარსით.

პიონერთა ორგანიზაცია მცირე, კარჩაკეტილი ჯგუფიდან გარდაიქცევა მასიურ ორგანიზაციად, რომელიც ბავშთა ყოველგვარ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, სპორტისა და კულტურული წრეები პიონერებთან ერთად დაეხმარებიან მამებს რევოლუციონურ ბრძოლებში. პიონერები უნდა გახდენ პროლეტარულ ბავშთა მოძრაობის ნამდვილი წინამძღოლნი.

ჩვენ ვეცდებით მივაღწიოთ იმას, რომ განსაკუთრებული დახმარება აღმოუჩინონ უმუშევარ ბავშებს, უფასოდ ასწავლონ და ცხელი საუზმეები მისცენ ღარიბ მოწაფეებს, ვეცდებით უარყოფილ იქნეს სკოლებში რელიგიური და მილიტარისტული სწავლება და აღმოფხვრილ იქნას ბავშთა ექსპლოატაცია.

**მშრომელთა ბავშებო, განვამტკიცოთ ჩვენი რიგები!**

**დე, ეს მეორე შეკრება გადაიქცეს პროლეტარულ ბავშთა მოძრაობის რევოლუციონურ კერად.**

**დე, ამ შეკრების ათიათასმა მონაწილემ შემოიკრიბოს კიდევ მრავალი ათიათასი ბავში ჩვენი დროშების ქვეშ!**

**კონგრესი აცხადებს პროლეტარულ ბავშთა ყველა ორგანიზაციაში „შეკრების გაწვევას“.**

**გაუმარჯოს ბავშთა მთლიან, მასიურ რევოლიუციონურ მოძრაობას!**

**ნორჩ ლენინელთა მილიონებით ავუგოთ საუკეთესო ძეგლი ილიჩს.**

მსოფლიო პროლეტარულ ბავშთა მეორე საერთაშორისო კონგრესი.

**ქ. ბერლინი, 1930 წლის 25 ივლისი.**

# თვით მეფეც კმაყოფილია ჩვენით*)

ნეიკელნის ქუჩაზე (ბერლინის მუშათა რაიონი) გაიარეს წითელი დროშებით მუშის 200 შვილმა.

„ბავშები შეტევაზე გადადიან, კაპიტალიზმი საფრთხეშია“ წინასწარმეტყველობს ბურჟუაზიული პრესა.

სამი საბარგო და ერთი მსუბუქი ავტომობილი აშკარად პროვოკაციული განზრახვებით მოძრაობდა მსვლელობის გარშემო. ცერგიბელის ჯალათები რეზინის ჯოხებით ხელში დაესიენ ბავშებს. 17 საათისათვის ბავშები მოგროვდენ რეიტერის მოედანზე. მოქროდა სამგზავრო ავტო. ავტოდან გადმოსულ ლეიტენატს არ სურდა დაერთო ნება დემონსტრაციისათვის, რადგან ბავშებს მიჰქონდათ პლაკატი წარწერით: „ჩვენ გავიფიცეთ“. მიუხედავად აკრძალვისა, მსვლელობა გრძელდებოდა მთელი წესრიგით. როდესაც ბავშები მიუახლოვდენ პოლიციელთა რიგებს, ჟანდარმები ეცენ სამ ბიჭს, მოსტაცეს ბავშებს პლაკატი, სცემეს და წაათრიეს საპოლიციო უბანში. ბავშები მიდიოდენ, როგორც მოზრდილები, ეჭირათ ხელში დროშები, თვალები უბრწყინავდათ და მღეროდენ ბრძოლის სიმღერებს.

ნეიკელნის პროლეტარული უბნის ქუჩებზე მიდიოდა ახალგაზრდობა შიმშილის გამო გაფითრებული სახით, მოტყუებულნი თავიანთ „თავისუფალ ბავშობაში“.

რათ იბრძოდენ და გაიფიცენ ბავშები? იმიტომ, რომ ისინი შიმშილობენ და მოკლებულნი არიან სკოლაში სწავლის ძირითად პირობებს.

სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების უთავობისა და დაუდევრობის შედეგები მუშის შვილების მხრებზე გადადის.

ადმინისტრაციას უნდა კლასებში 50 — 60 მოწაფე შეჰყაროს. **ამით იქმნება** ფართე პროლეტარულ ოჯახში გადამდები ავადმყოფობის გავრცელების შესაძლებლობა. ხველა, ანგინა, დივტერიტი ვრცელდება მუშის ისედაც ჩამომხმარ და გამხდარ ბავშებში.

**მოწაფე ბავშები ბრძოლაში**

მოზრდილთა გაფიცვებს მისდევს ბავშთა დამოუკიდებელი გაფიცვები. ნორვეგიის ქალაქ ბერგენში გაზეთის დამტარებელ ბავშებმა პიონერების ხელმძღვანელობით—გამოაცხადეს გაფიცვა და მოითხოვდენ ხელფასის გადიდებას. გაფიცვა იმდენად მეგობრულად ჩატარდა, რომ ბატრონები იძულებული შეიქნენ გაზეთის დამტარებელთა მოთხოვნები შეესრულებიათ; ასეთივე მიღწევით ჩაატარეს კამპანია პიონერებმა ჰოლანდიის ქალაქ ამსტერდამში იმ მასწავლებელთა წინააღმდეგ, რომელნიც სცემდენ ბავშებს.

**აი, კიდევ მაგალითი.**

ბერლინის ერთ-ერთ სკოლაში მოკვდა მოწაფე სოციალ-დემოკრატ დირექტორის უზრუნველობისა და დაუდევრობის გამო და რამდენიმე ბავში კი მძიმედ დაავადმყოფდა. ბავშებმა მოითხოვეს ამ დირექტორის მოხსნა. როცა ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, ბავშებმა პიონერების ხელმძღვანელობით გამოაცხადეს გაფიცვა. მეორე დილას სკოლის კართან იდგენ გაფიცულები და უკან აბრუნებდენ სკოლაში გამოგზავნილ სოციალ-დემოკრატების შვილებს. გაფიცული იყო სულ 670 მოწაფე. შეშინებულმა სკოლის დირექტორმა გამოუძახა პოლიციას, რომელიც დაუყოვნებლივ გამოცხადდა ავტომობილით. სკოლის გარშემო შეგროვდა მთელი გროვა ხალხის. ისინი თხოულობდენ დირექტორის მოხსნას. ბავშები თითქმის მთელი კვირა იყვნენ გაფიცულნი, რის შემდეგ სასკოლო მართველობამ მოხსნა დირექტორი; ბავშებმა გაიმარჯვეს.

მეორე შემთხვევა მოწაფე პიონერების აქტიურ გამოსვლისა მოხდა ჩეხია-სლოვაკეთში. წარსული წლის ბოლოს ჩრდილოეთ ბოჰემიაში იფეთქა 94.000 მეშახტოელის გაფიცვამ. პიონერებმა იმ წუთშივე მოაწყვეს სკოლებში კრებები და გააგზავნეს გაფიცულებთან თავისი წარმომადგენლები. როდესაც პოლიციელებმა სცადეს დაშლა ერთი ასეთი კრების, ბავშებმა გამოაცხადეს სასკოლო გაფიცვა.

**ზანგის ბავშს ყურები არ სჭირდება**

ბრუკი,—ხორცისა და ხილის კონსერვებით მოვაჭრე ნაუ-ორლეანში,—ძველი ღორია. მუცელი და ღაბაბი—გამობერილი, მართლაც ღორივით აგდია, ფრჩხილები კაკლის დასამტვრევ რკინებს მიუგავს, და ამ ფრჩხილებს ხშირად გრძნობს პატარა ზანგი ჯიმი, მაგრამ ახლა ჯიმი კმაყოფილია. ბატონმა იგი გააგზავნა სიგარის მოსატანად უილკინთან.

შესანიშნავია! ხომ შეუძლია ერთი წუთით გაჩერდეს ქუჩაში ამხანაგთან, გაესაუბროს მოთამაშე ბავშს. მაგრამ...—ჯიმ, იჩქარე, ბატონმა ფანჯარაში გადმოიხედა, ბატონი აღელვებულია... ჯიმ, გაიქე! ჯიმ! გვიანაა. როგორც ნიანგის დინგი, ბრუკის ჯმუხა თითი სწვდა ყურში ჯიმის და... მოგლიჯა ყური ბავშს. არა აქვს ყური ზანგ ბავშს ჯიმის.

მაგრამ ამერიკის სასამართლო სამართლიანია და სულგრძელი. მას ჯიმი ოდნავადაც არ დაუსჯია, თუმცა ჯიმი დამნაშავე იყო, როგორც მოუსვენარი და გაუგონარი.

მასწავლებელი ფონ-მიუცევი სცემს ბავშებს შიშველ ფეხებზე და სიამოვნებს ბავშის ალურჯებული კანის შეხედვით. ეს უკვე დედამიწის მეორე ნაწილშია, ბერლინის ერთ-ერთ სკოლაში. 125 სკოლაში არ არის ერთი ისეთი მოწაფე, რომელსაც არ მოხვედროდეს სოციალ-დემოკრატ მასწავლებლისგან

პოლონეთში მასწავლებელმა ქალმა სცემა პატარა მოწაფე გოგონას ისე, რომ ბავშს ორი კვირა არ მოშორდა სილურჯე და ნაცემი ნიშნები. სასამართლომ გაამართლა მასწავლებელი იმიტომ, რომ რათაც გინდა დასჯდომოდა, მასწავლებელს სკოლის ავტორიტეტი უნდა დაეცვა.

საზღვარგარეთ პიონერებთან კავშირი ახლა უფრო უნდა განვამტკიცოთ.

საჭიროა გადასინჯვა ინტერნაციონალური შეჯიბრების ხელშეკრულებისა, გერმანიისა და საბჭოთა კავშირის პიონერებს შორის, საჭიროა ახალი ხელშეკრულებანი დაიდვას ყველა ქვეყნის პიონერებთან, უნდა ვიგრძნოთ მთელი პასუხისმგებლობა ამ ვალდებულებათა და შევასრულოთ იგი.

*) გაგრძელება, იხ. № 14.



# ლი-ჩოუ



სეხმან ერთაწმინდელი.

ილუსტრაციები მხატვარ **იგორ ტიმოფეევის.**

(ნ ა წ ყ ვ ე ტ ი)

ასე ეძახდენ მას...

ის იყო ყველაზე პატარა ჯარისკაცი ტანად...

ის ჯერ ჩან-კაი-შის სამხრეთის არმიაში იყო, ვიდრე ჩრდილოელ იმპერიალისტებს ებრძოდენ და ჩან-ძოლინის მომხრე გენერალ სუნ-ჩუან-ფანის ჯარს მირეკავდენ ყვითელ მდინარემდე.

მან კანტონიდან შანჰაიმდე, იქიდან ნანკინამდე და ბოლოს შანდუნის პროვინციამდე სდია დამარცხებულთ, ვიდრე იქ იაპონელთა რაზმებს არ წააწყდენ, რომლებმაც უბრძანეს უკან დაეხიათ.

— ჰმ!.. ჩვენს ქვეყანაში ჩვენვე გვეუბნებიან უკან დაიხიეთო?!—გაიკვირვა ლი-ჩოუმ და სიბრაზისაგან თოჰაერში შეათამაშა...

აქ მათ ესროლეს იაპონელებმა: ისინი მანჯურიელთ, ჩრდილოელებს ეხმარებოდენ... ლი-ჩოუს მრავალი ჭრილობა ჰქონდა მიღებული ეროვნულ-რევოლიუციონურ ჯარში ჩინეთის განთავისუფლებისათვის, ყველა ჭრილობა მან ადვილად აიტანა, მაგრამ იაპონელთაგან მიღებული იარა კი ემწვავა...

ის იბრძოდა გენერალ ჩან-კაი-შის ჯარში მანამდე, ვიდრე ჩანი კომუნისტებს შემოუბრუნებდა მახვილს, იმ კომუნისტებს, რომლებმაც ლი-ჩოუს ასწავლეს ბრძოლა, რომლებიც თვით ჩან-კაი-შის ასწავლიდენ, სამხრეთელთა მრჩევლებად იყვნენ.

მერე კი... ლი-ჩოუ, რამდენიმე ჯარისკაცთან ერთად, რა ჭრილობა მოუშუშდა, სადღაც გაჰქრა...

ზოგი ამბობდა: აჯანყებულ გლეხთა რაზმს — „წითელ შუბებს“ მეთაურობსო, ზოგი ამბობდა კომუნისტების მეთაურობით შემდგარ რევოლიუციონურ ჯარშია — სვატოუს რომ უტევსო, და ზოგი რას...

ნამდვილად კი ვერავინ გაიგო: სად იყო...

იმასაც კი ამბობდენ, რომ იაპონელებთან შეტაკების დროს, როდესაც უფროსმა უბრძანა უკან დახევა — მოჰკლა იგი და გაქცევა მოასწრო ციხიდან, სადაც ის ჩასვეს და მეორე დღეს თავი უნდა მოეკვეთათო; მის დასაჭერად ზომებია მიღებული, მისი თავი ას იენადაა შეფასებულიო და სხვა...

— ბრძოლა საბჭოებისთვის ჩინეთში!..

ჯარისკაცები რომ გაიყოლია, თურმე ეს სიტყვები მოსწყდა ძახილით.

ამ დროს იყო, რომ გამოცხადდა კანტონის კომუნა...

აქ იყვნენ ყველანი, ვისაც მართლაც უნდოდა ჩინეთის განთავისუფლება, კულების, რიკშების — მუშების და გლეხების კეთილდღეობა, მანდარინებისაგან დახსნა...

და, ის, ლი-ჩოუ, რომელიც ოდესღაც ჰონკონგის ნავთსადგურში ინგლისელების ხომალდებს ტვირთავდა, ჯერ კიდევ მართლაც პატარა, ჩინეთის სიმდიდრით:



ჩაით, აპრეშუმით და სხვა, უბრალო კული, რომელსაც ვინ იცის რამდენ მისტერ ჯონების მუჯლუგუნი მოხვედრია, რამდენჯერ არა ადამიანური დამცირება გადაუტანია, სად იქნებოდა ეხლა?..



მან ხომ ერთხანად თავის სამშობლო მხარეც მიატოვა, რათა თავისი თვალით არ ეცქირა ჩინელებას — ჩინეთშივე ძაღლურად სიკვდილისთვის...

და, ის, სხვადასხვა კუნძულებსა და ქვეყნებში ხეტიალის შემდეგ მოხვდა რუსეთის თვალუწვდენ ველებზე, სწორედ მაშინ, როდესაც წითლები და თეთრები ერთმანეთს არ ინდობდინ...

ვინ იყო ის მამაცი პატარა ტანის ჩინელი, წითლების რაზმში, კოლჩაკელებს რომ ერეკებოდენ ციმბირის ყინულებისაკენ?!

— ლი-ჩოუ.

დიაღ, ასე ეძახდენ მას..

და, რა ჩინეთში სუნ-იატ-სენმა დაიწყო ჩინეთის ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობა, ძველი გომ-ინ-დანის პარტიის მესაჭეობით, ბრძოლა ჩინეთის თავისუფლების მტერთა წინააღმდეგ, ლი-ჩოუ ეთხოვება თავის საყვარელ წითელ არმიას, სადაც მან ისწავლა ბრძოლა, სადაც მას თვალები აეხილა, ის მიდის თავის ქვეყანაში, რომ თავი დასდოს თავისუფლების სამსხვერპლოზე...

მან გადალახა ჩინეთის საზღვარი; ის შესდგა მრავალ საუკუნეთა ხავსით მოდებულ ჩინეთის დიდ კედელზე, და შესძახა:

— სალამი ახალ ჩინეთს!

და წითელ არმიაში ოთხი წლის გატარებამ, აქ უქმად არ ჩაიარა...

ის მუდამ წინ მიუძღოდა სამხრეთელების ჯარს; ის საუკეთესო მძიებლად ითვლებოდა; მას ჯერ დამარცხება არ ენახა და უკან არ დაეხია, ვიდრე იაპონელებმა არ შეაყენეს...

და, ლი-ჩოუ, ეხლა კანტონის კომუნის ერთ-ერთ რაზმის უფროსი — ებრძოდა გენერალ ლი-ტი-სინის გახრწნილ ჯარებს; ლი-ჩოუ ისევე უტევდა, მოხერხებულად, როგორც ენახა მას წითელ არმიის შეტევა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ...

ჰი ეხლა სად იყო ლი-ჩოუ...

— ეხლა ისევე შევქმნით, ჩვენ, ჩინეთის ყველა პროვინციებიდან ჩინეთის საბჭოთა კავშირს, როგორც იქ, ჩრდილოეთში, რუსებმა და სხვა ერებმა შექმნეს ყოფილ იმპერიის ტერიტორიაზე...

ფიქრობდა ის, მაგრამ მეორე დღეს კანტონის კომუნას შემოუტიეს ჯალათებმა, და ფიქრი სათავეშივე ჩაუკლეს...

გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა...

— ჰე, თუ მოვასწრებდით ჩინეთის წითელი არმიას ჩამოყალიბებას, მაშინ ვერ გაგვიბედავდით შებმას, თქვე ჯალათებო!!!

მოსწყდა ლი-ჩოუს ტუჩებს, რა მრავალათასიან მტრის რკალს შეხედა, რომელიც თანდათან მჭიდროვდებოდა კანტონის კედლებთან...

— პატარა ჯარისკაცი?! ჰმ!..

ზიზღი ათამაშდა გენერალ ლი-ტი-სინის სახეზე, რა ეს თქმა გაიგონა, რომელიც არა ერთხელ სმენოდა...

—დიაღ, ის... ეხლა მას პატარა რაზმის უფრ... ეძახიან... ვეფხვებივით იბრძვიან იმის რაზმელები და ...იაუს ქუჩის ბარიკადას არ შორდებიან...

გადასცა ადიუტანტმა.

შტაბი ქარტას მიუჯდა...

— მთელი ძალა ამ ქუჩას! — და თითი ან-ხოუს ქუჩას დაადო შტაბის უფროსმა.

—ძმებო, წინ! — ისმოდა ლი-ჩოუს ყივილი.

— წინ!!!—უპით აძლევდა პასუხს ალ-მოდებული ჩინეთი.

— დაჰკა?!! — თითქოს ამას-ღა ამბობდენ ხის ტოტებზე თავის თმის ნაწნავითვე ჩამოკიდული მოკვეთილი თავები წითელ შუბიანთა, დიდი დანების რაზმელთა, კულების, რიკშების...

— კონტრ - იერიში!!!—რა ამ სიტყვებთან ერთად ლი-ჩოუმ გადმოაბიჯა ბარიკადას, მას ზანაკთან იფეთქა მტრის ყალიბში ჩამოსხმულმა ყუმბარამ...

ერთხელ ანთებული ხანძარი აღარ ქრებოდა...

— ძვირფასო ძმებო, მე ვკვდები კანტონის კომუნის სადარაჯოზე და თქვენ განაგრძეთ ბრძოლა ჩინეთის სო-



ციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნად! შეიარაღდით! გაშალეთ წითელი არმიის ფრთები, და შეტევა! განგაში წინსვლად!!!

ამ სიტყვებით მიმართა ლი-ჩოუმ თავის რაზმელებს სიკვდილის წინ...

— არს!!! — ვგონებ ეს სიტყვა მოსწყდა ყველას პასუხად..

— ჯერ შინაურ მტრებს!.. — ყიოდა ლი-ჩოუ.

კანტონის კომუნა დაეცა ნახევარი დღის არსებობის შემდეგ; ის ჯერ ნორჩივე ჩაჰკლეს, და საშინლად აწამეს კომუნარები...

და, რა გამარჯვებული მტრის ჯარი შევიდა კანტონში, პირველ საგუშაგოზე წააწყდენ რმდენიმე დახოცილ კომუნარ-ჯარისკაცს; ერთი მათგანი, რომელიც ჯერ კიდევ სიკვდილს ებრძოდა, მკერდიდან შადრევნად ამონახეთქ სისხლში ასველებდა სალოკ თითს და ქუჩის ქვაფენილზე ელავდა მის მიერ ნაწერი სიტყვა:

— შ..უ...რ...ი..ს...ძ...ი. .ე...ბ...ა...

— ვინ იყო?

— აბა მიხვდით!..

— ალბად ლი-ჩოუ, არა?

— დიაღ, და...

— ხა! ხა! ხა!... — გადიხარხარა გენერალმა ლი-ტი-ამმა, წიხლი ამოჰკრა, ცალი ფეხით ზედ შესდგა და ზიზღით დააფურთხა.

— ასეთივე პოზა ეჭირა ხოლმე გენერალ მარკიზ დე-გალიფეს, პარიზის დამარცხებულ კომუნარებს, რომ ესწორდებოდა! — შეაქო ლი-ტი-სინი, ამ დროს მასთან მყოფმა ინგლისელმა ლეიტენანტმა,—რომლის მამასაც კანტონის ახლო მდებარე პლანტაციის მუშები ჯალათ პლანტატორს ეძახდენ — და თეთრი თათმანი ოდნავ წაიძრო, ხელი რომ გაუწოდა, ჩიბუხი გააბოლა და მათრახის ათამაშებით ინგლისური ჰიმნი დაალიღინა...

ჩინეთის შუაგულ თუ ზღვის ნაპირა შორეულ პროვინციებიდან კი ისმოდა ყრუ გუგუნი შურისძიების, სადაც ინთებოდა კოცონი ძველი ჩინეთის გადასაბუგად; საუკუნეთა მონობის ღრუბლით აბურულ ჰორიზონტზე ახალი მზე ცეცხლის ბურთივით ამოგორდა და მრავალათასიან კომუნართა სისხლში ათამაშებდა მარჯნის მძივთა კონას...

შორს მოსჩანდა ლი-ჩოუს გადარჩენილ რაზმელების წითელი შუბები, დიდი დანები და ლი-ჩოუს ხელში მრავალჯერ აფრიალებული წითელი დროშა, იმედიანად რომ არხევდა დაფლეთილ კალთებს გიჟ ტაიფუნზე...

— ჩვენ კიდევ მოვალთ, წითელ ყელსახვევიანებო!.. სადღაც ისმოდა მუქარა.



— კომუნარი გენერალი ჩუ-დე...

— წითელი ქალაქი ჩან-შა....

ყველას ეკერა პირზე, და უკვე თოთხმეტ კორპუსიანი ჩინეთის წითელი არმია, კიდევ მრავალ თოთხმეტი კორპუსის მოლოდინით, შიშის ზარს სცემს...

— ვის?

— თვითონ მიხვდება ალბად...



პიონერთა პირამიდა

**გორის რაიონის პიონერები** ავრცელებენ 1200 ცალ „პიონერს" და იწვევენ ყველა რაიონის პიონერებს! გამოწვევა მივიღოთ!

მივბაძოთ გორის რაიონის პიონერებს!

პიონერი გოგი ლომიძე.

# ყოფა-ცხოვრების საკითხები პიონერ-ორგანიზაციაში

**ამხანაგო პიონერებო!**

**ვათავსებთ პიონერ გოგი ლომიძის წერილს პიონერ-ორგანიზაციაში ყოფა-ცხოვრების საკითხების შესახებ საკითხის დაყენების წესით და გთხოვთ გამოთქვათ თქვენი შეხედულებანი ქვემოთ მოთავსებულ წერილზე.**

**რედაქცია.**

დღეს პიონერორგანიზაციებში ყოფა-ცხოვრებითი საკითხების დასმას და გადაჭრას დიდი ყურადღება ექცევა. საქ. კომკავშირის მე-8 ყრილობამ ამ საკითხების დამუშავების აუცილებლობას მკვიდრად გაუსვა ხაზი. რით იყო გამოწვეული ეს? იმით, რომ პიონერ-ორგანიზაციებში კიდევ გაბატონებულია ისეთი ჩვევები, რომლებიც ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთს წარმოადგენენ.

არავისთვის არ არის საკამათო, რომ პიონერორგანიზაცია არის კერა, რომელიც ამზადებს რეზერვს კომკავშირისათვის, რომელიც კომუნისტურად ზრდის ახალ ადამიანებს. საუბედუროთ, დღევანდლამდე, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, პიონერორგანიზაციაში განმტკიცებულია ზოგიერთი ისეთი ქცევა-ჩვევა, რაც ძირითადათ უპირისპირდება ბავშთა კომუნისტურად აღზრდის პრინციპებს. ჟურნალმა „პიონერმა" წარსულში მოათავსა რამდენიმე წერილი პიონერთა ყოფა-ცხოვრებითი საკითხების შესახებ. ჩვენ გვინდა საკითხი უფრო მკვეთრად და პირდაპირ დავაყენოთ; ავიღოთ პირველი მაგალითი: ეს არის ლანძღვა-გინების შესახებ პიონერორგანიზაციაში. ცხადია. ყოველმა ადამიანმა იცის გინება, მაგრამ პიონერი სწორეთ იმით განსხვავდება „ქუჩის" ბავშისაგან, რომ იგი უნდა ცდილობდეს ყველა მავნე მოვლენის, და ამ შემთხვევაში გინების, წინააღმდეგ ბრძოლასაც. ხშირად კი ასე არ ხდება. ალბათ, გინახავთ პიონერი, რომელსაც გაუკეთებია წითელი ყელსახვევი, გაუჩრია პირში პაპიროსი და დემონსტრატიულად იგინება. თუ რომელიმე მოქალაქემ ამ „პიონერს" გაფრთხილება მისცა, მას საპასუხოდ პირზე აკერია შემდეგი სიტყვები: „იცი მე ვინა ვარ? მე პიონერი ვარ". ამხანაგებო, უნდა გვახსოვდეს, რომ წითელი ყელსახვევი და ნიშანი პიონერობას როდი ამტკიცებს. პიონერული სული უნდა გამოვლინდეს ცხოვრების, მოქმედების და ქცევას ყოველ წვრილმანში. პიონერობა უნდა [illegible] ოჯახში, სკოლაში და საერთოდ ყველგან. წითელი ყელსახვევი პიონერების მხოლოდ პირობითი ნიშანია.

[illegible]ს ორგანიზაციაში აქა-იქ მოპოვებიან გადაგვარებული და ძველი ჩვევებით გაჟღენთილი პიონერები.

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ იმ პიონერების შესახებ, რომელნიც აშკარად იგინებიან და ხულიგნობენ. არის მეორე კატეგორიაც. ეს პიონერები ერიდებიან კოლექტივში და ქუჩაში გინებას, მაგრამ მეგობრულ წრეში საშინლად იგინებიან. ისინი ასე ფიქრობენ: „სულერთია, არავის არ ესმის და, მაშასადამე, აქ არაფერი არ არის დასაძრახისი".

საუბედუროთ, საკითხი ასე მარტივად როდი დგას. გინება საერთოდ უარყოფითი მოვლენაა და მისი გამართლება იმით, რომ „სულერთია, არავის არ ესმის", არის შეგნებულათ საკუთარი თავის მოტყუება. გინების წინააღმდეგ საბრძოლველად უნდ[illegible]ან პიონერთა დამკვრელი რაზმები. საჭიროა ამ საკითხის ირგვლივ პიონერული საზოგადოებრივი აზრის შექმნა.

მეორე საკითხია ზედმეტი სახელების შესახებ. ამა ან იმ პიონერს თუ რომელიმე ამხანაგმა ლაპარაკის [illegible]რის დროს მოსწრებულად დაუძახა ზედმეტი სახელი, შემდეგ ეს ზედმეტი სახელი მტკიცდება, ხოლო ხამდვილი კი დავიწყებას ეძლევა.

ზედმეტ სახელს არჩევენ უმთავრესად ბუნებრივ ნაკლთან შეფარდებით. მაგ. ენა-ბლუ პიონერს ეძახიან „ლოყ-ლოყას", ელამს—„ბათუმ-ბაქოს", კოჭლს—„შაური შეი, შაური მე" და სხვ. ზედმეტი სახელის დაძახება პიონერზე განსაკუთრებით მწვავედ და დამამცირებლად მოქმედობს, თუ მართლა ის მისი ბუნებრივი ნაკლის მიხედვით არის გამოძებნილი. ეს პიონერს სჩაგრავს, ამცირებს და ამხანაგებისაგან ანაპირებს.

ზედმეტ სახელებს პიონერები ერთმანეთს ეძახიან უმეტეს შემთხვევაში წაჩხუბების დროს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ისინი ამ მომენტში განსაკუთრებულ ნერვიულ მდგომარეობაში იმყოფებიან, მაშინ ნათელი ხდება, რომ ზედმეტი სახელის დაძახება იწვევს მეტად არასასიამოვნო შედეგს. ჩვენ მოწმე ვყოფილვართ ამ ნიადაგზე პიონერების ერთმანეთზე წაკინკლავების. უბედურება ის არის, რომ ზოგიერთი დაუფიქრებელი ხელმძღვანელი ჰყვება რომელიმე პიონერის ამ ვითომდა ხუმრობას და უნებლიედ ხელს უწყობს პიონერორგანიზაციაში მავნე მოვლენების ფეხის გადადგმას. ზედმეტი სახელების დაძახების ნიადაგზე ხშირია შუღლი, მტრობა და პიონერორგანიზაციიდან გასვლა. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელს მეტად დიდი მოვალეობა აწევს. მან უნდა შეძლოს პიონერთა საზოგადოებრივი აზრის დარაზმვა, ამ მავნე მოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად. მიუღებელია დაყვირების მეთოდიც. დაყვირებამ შეიძლება ამ შემთხვევაში იმოქმედოს, მაგრამ ეს მავნე ჩვევა შემდეგ ისევ განმეორდება; საჭიროა პატარა საუბრის ჩატარება და ზედმეტი სახელების დაძახების არაპიონერული მოქმედების გამოაშკარავება. ამის შემდეგ ეს მოვლენა პიონერორგანიზაციიდან თანდათანობით ძირიანად აღიკვება.

ერთ-ერთი უცუდესი სახეა ლაქუცობაც. ალბათ ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა აპარატის წმენდაზე ბიუროკრატების ერთ-ერთ უარყოფით მხარეთ გაწმენდის კომისია მათ ლაქუცობას და მლიქვნელობას ასახელებდა. მით უმეტეს მლიქვნელობა პიონერორგანიზაციაში ყველაზე მავნე და გარკვეულად არაკომუნისტური ქცევაა. ხდება ასეც: ესა თუ ის პიონერი მლიქვნელობის შემწეობით უახლოვდება ხელმძღვანელს, პიონერორგანიზაციაში ერთგვარ ავტორიტეტს იხვეჭს, გადის საბჭოს წევრად და დელეგატადაც კი სხვადასხვა კონფერენციაზე, ხოლო ის პიონერი, რომელიც ჩუმად და ამავე დროს აქტიურა[illegible], ხელმძღვანელის თვალში არ [illegible]ანს.

მლიქვნელობის დროზე და საფუძველშივე აღუკვეთლობამ შეიძლება მთელი კოლექტივი გადაგვარების გზაზე დააყენოს. ჩვენ უნდა გამოვააშკარაოთ მლიქვნელი პიონერები (ასეთები ძალზე ცოტაა ორგანიზაციაში) და მოვაწყოთ მათი საზოგადოებრივი გასამართლება.

მეოთხე საკითხია სიყვარულობიას თამაში. ჯერ კიდევ გვყავნან ისეთი პიონერები, რომლებსაც „სიყვარულის" გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ.

ეს პიონერები ერთმანეთის ცეცხლის ალში იწვიან, ხშირად იმართება წერილების მიწერ-მოწერა, საიდუმლო პაემანი და მთვარიან ღამეში სადმე ბუნების წიაღში გასეირნება. თქვენ მაშინვე შეატყობთ, რომ „შეყვარებულ" პიონერებს სახე უნაღვლიანდებათ, მოწყენილი და გულჩათხრობილი ხდებიან. „სიყვარულს" შედეგად მოსდევს პიონერკოლექტივში მუშაობის მინელება, საზოგადოებრივ საქმეში პასიურობა და სწავლაში ჩამორჩენა. ამ სიყვარულობამ ისეთი მწვავე და ძლიერი ხასიათი მიიღო სახელმწიფო უნივერსიტეტის ნ.-პ. კოლექტივში, რომ სახუნტის პედაგოგიური საბჭო და გამგეობა იძულებული გახდა ეს [illegible] დაესვა გამგეობის გაფართოებულ პლე[illegible]. თქვენ გგონიათ, რომ გამგეობის [illegible]ებამ რაიმე გავლენა მოახდინა ამ პიონერებზე? პირიქით, მათ „სიყვარული" უფრო გააძლიერეს და გააღრმავეს. ასეთ პიონერებს სასტიკი პასუხი უნდა მოვთხოვოთ, პიონერორგანიზაციიდან გარიცხვამდეც კი.

პიონერკოლექტივი „სიყვარულობიას თამაშის" ასპარეზი როდია, ეს არის აღმზრდელობითი ორგანიზაცია, რომელსაც მიზნად აქვს დასახული პიონერ-ვაჟთა და პიონერ-ქალთა შორის მტკიცე მეგობრული ურთიერთობის დამყარება. ამ პრინციპის დამრღვევ პიონერებს რაიონულმა ბიუროებმა ჯეროვანი პასუხი უნდა მოთხოვონ.

კიდევ ერთი: წიგნებისა და საბავშო პრესისადმი დამოკიდებულება; ჩვენი პიონერების ერთმა ნაწილმა რომ არ იცის ბავშთა კომუნისტური მოძრაობის ისტორია, [illegible]თის პიონერთა მდგომარეობა და მიმდინარე პოლიტიკის ელემენტარული საკითხები,—ეს უკვე უდავოა, დასაშვებია თუ არა ეს მდგომარეობა? ცხადია, რომ არა. დღეს, რეკონსტრუქტიულ პერიოდში, როგორც პარტიის და კომკავშირის, ისე პიონერორგანიზაციების წინაშე წამოყენებულია მნიშვნელოვანი ამოცანა—თეორიული ცოდნით შეიარაღება. მიმდინარე პერიოდი ისეთი ხვეული და რთული წინააღმდეგობით არის სავსე, რომ ლენინიზმის ელემენტარული დებულება—პრინციპების ღრმა ცოდნის გარეშე მოვლენათა ჯაჭვში ვერ გავერკვევით; ამ მხრივ საუკეთესო მაგალითი უნდა ავიღოთ ლენინგრადის პიონერებისაგან, რომლებიც კოლექტიურად ამუშავებენ ისეთ თეორიულ საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად, ლენინიზმი და ტროცკიზმი, მემარჯვენე გადახრა პარტიაში, ახალი ეტაპის თავისებურებანი და სხვ. რად ვარგა ის პიონერი, რომელიც საქ. პიონერების საუკეთესო, მებრძოლ ჟურნალს „პიონერს" და „ოქტომბრელსაც" არ წაიკითხავს?

ჩვენ ეხლა ვებრძვით წერა-კითხვის უცოდინარობას, მაგრამ რაში გვინდა კითხვის ცოდნა, თუ კი მას არ გამოვიყენებთ?

ვატარებთ აგრეთვე კულტლაშქრობებს ლოთობის, ხულიგნობის და სხვა მავნე ჩვევათა წინააღმდეგ, მაგრამ შევეკითხოთ ჩვენ თავს: დაზღვეული ვართ თუ არა ყველა ამ უარყოფითი მხარეებისაგან? ჯერ-ჯერობით არა. სწორედ ამბობდა ერთი ამხანაგი, რომ ჯერ უნდა შევებრძოლოთ საკუთარ თავში მოკალათებულ ძველი ყოფაცხოვრების ნაშთებს, აღმოვფხრათ იგი და მხოლოდ ამის შემდეგ შევუდგეთ სხვა ადამიანის გარდაქმნისათვის ბრძოლის საქმეს.

ლენინი გვასწავლიდა, რომ „ის თაობა, რომელიც დღეს 15 წლისაა, მოესწრება და თვითვე შექმნის კომუნისტურ საზოგადოებას და მან უნდა იცოდეს, რომ მთელი ამოცანა მისი ცხოვრებისა არის შექმნა ამ საზოგადოებისა".



მოზარდ მაყურებელთა კულტურისა და დასვენების ბაღში

# მეჯინიბე *)

ილუსტრაციები მხ. ს. ნადარეიშვილის



ე. მ.

შუადღე იყო, როცა ისინი სასამართლოში მივიდნენ. მაგიდასთან იჯდა გამხდარი. უფერული კაცი. ეს იყო გამომძიებელი. დაიწყო დაკითხვა, ჟანდარმთა ვახმისტრივით ისიც მიმართავდა ათასგვარ ხრიკს, რომ რაიმე ხელმოსაკიდი ცნობა წამოსცდენოდა მოხუცს.

პასუხი კი ერთიდაიგივე იყო:

— 1918 წელს მივიღეთ უკანასკნელი ბარათი, მას შემდეგ კი არა ვიცით რა, თქვენო აღმატებულებავ.

— ჰმ... წყეულო გლეხუჭავ... თქვენ სულ ერთსადაიმავეს გაიძახით... ყველანი ერთიმეორეს მხარეზე ხართ.

— იმიტომ, შენი ჭირიმე, რომ ეს აუცილებელია. გლეხი-გლეხთან. ასეთია წესი. სხვა რა შემიძლია ვთქვა იმ შვილის შესახებ, რომელიც არ ვიცი, მკვდარია თუ ცოცხალი.

ამ სიტყვებზე მოხუცი შემოტრიალდა და მიაჩერდა მის უკან მდგომ ჟანდარმს, თითქოს თანაგრძნობას ელისო, ისე ჩააცქერდა მას თვალებში.

— თქვენი შვილი დაეხეტებოდა ამ მხარეში და მცხოვრებლებს უქადაგებდა კომუნიზმს... ის აქ იმალებოდა.

— მე ის არ მინახავს,—სთქვა კერესტენმა, —ის ჩვენთვის გადაცვლილი ბავშია.

გამომძიებელმა ბრძანა შემოეყვანათ შვილი და წაეყენებიათ მოხუცისათვის.

მოხუცი შიშმა აიტანა, კანკალი დაიწყო.

— ნეტავ რა იქნება,—ფიქრობდა მოხუცი, —თუ მართლა იმ გაბრწნილმა შვილმა იცრუა და დაიწყო მტკიცება, თითქოს მას ჩემთან კავშირი ჰქონდა?

მოხუცს მოაგონდა აგრეთვე, ჟანდარმთა ვახმისტრმა, რომ სილა გაარტყა და ცხვირიდან სისხლი ადინა, ხელი ასწია და ინსტინქტურად სახეზე მოისვა.

— თუ ის,—ფიქრობდა ისევ მოხუცი,—ყაჩაღებში გაერია და ხალხს ულმერთობას უქადაგებს, ალბათ ისლა დარჩენია, რომ ამ ხიფათში მშობლებიც გააბას.

ოთახში შემოიყვანეს მაღალი, ქერა მამაკაცი. მას სუფთად ეცვა.

პატიმარმა ირგვლივ მიმოავლო თვალი, უეცრად შეაჩერდა მოხუცს, შემდეგ ისევ თვალი აარიდა და გამომძიებელს მიუბრუნდა.

— აი, ყაჩაღ...—გაიფიქრა თავისთვის დანიელმა,—როგორ გამოიყურება... არ ვარგა, რომ მეც მაგ საქმეში გამხვია, მაგრამ, როგორ შეიძლება იმდენად გულცივი და ბოროტი იყოს ადამიანი, რომ უდანაშაულოდ მოინდომოს სხვისი დაღუპვა. აი, ახლა საცაა მოჰყვება ტყუილს, ვინ იცის, რას იტყვის ჩემზე... დაბოლოს მეც ჩამომახრჩობენ მასთან ერთად... სხვა რაღა იქნება...

გამომძიებელმა იკითხა:

— კერესტენ, იცნობთ თუ არა თქვენ ამ კაცს?

პატიმარმა ისევ გადახედა მოხუცს და თავი გაიქნია.

— არ ვიცნობ და გიმეორებთ, რომ ჩემი გვარი კერესტელია და არა კერსტენი.

— კარგი... მაშ თქვენი სახელი.

— იმრე...

მოხუცმა ხელები ააპყრო და დაიყვირა:

— ჩემს შვილს კი დავითი ერქვა, ის სრულიად არ ჰგავს ამ კაცს.

— ნუ მიშლით! — მრისხანედ განუცხადა გამომძიებელმა და განაგრძო შეკითხვა: დაბადების ადგილი?

— პეჩი.

— ვის იცნობთ თქვენ იქ? თქვენი გვარი იქ უცნობია.

— მე კი აქ, მახლობლად, კიშსოლნოკში დავიბადე, — აღტაცებით განაცხადა მოხუცმა.

— ჩემს პირველ ჩვენებაში ვამბობდი, რომ მამაჩემი იყო სამთომადნო მუშა პეჩის რაიონში... იქვე ვუჩვენებდი, რომ ის გარდაიცვალა ძალიან ადრე, მე კი დავრჩი სრულიად უსუსური ბავში და ვიზრდებოდი ბუდაპეშტის თავშესაფარში... არაფერი მაქვს საერთო ამ მოხუცთან და არც კიშსოლნოკთან, — დამშვიდებით და დინჯად განაცხადა პატიმარმა.

ამ სიტყვებს მოყვა უწმაწური, ქუჩური გინება. გამომძიებელი მუშტს არტყამდა მაგიდაზე, ცალ ხელში სახაზავს ატრიალებდა, მაგრამ უცნობი წარბ - შეურხევლად იდგა და არ ნებდებოდა.

— მე არ ვიცნობ ამ მოხუცს და არც მინდა გავრიო ამ საქმეში, რომელშიაც მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. მე არ ვიცნობ მას, ის არ არის ჩემი მამა.

მოხუცი სიხარულმა აიტაცა. რა საუცხოო ყმაწვილია. აი, ნამდვილი პატიოსანი და კეთილი ადამიანი.

— მაშ ეგრე? დამაცადეთ, მე გამოგიყვანთ თქვენ სწორ გზაზე! — დაიღრიალა გამომძიებელმა და იქვე მდგომ ჟანდარმს ანიშნა გაეყვანა პატიმარი.

პატიმარმა გასვლისას ხელი ჩაიქნია და ჩაილაპარაკა:

— რა გინდათ გამოგვსტყუოთ, ეშმაკმაც ნუ იცის თქვენი თავი და ტანი!

მოხუცი მისჩერებოდა გამომძიებელს, რომელიც სიბრაზისაგან ტუჩებს იკვნეტდა.

— ამრიგად, ბებერო გაიძვერავ, არ გინდა გამოტყდე, არა?

— რაში უნდა გამოვტყდე? ის არ არის ჩემი შვილი, მე მას პირველად ვხედავ ჩემს სიცოცხლეში...

საღამოს მოვიდა ორი ახმახი ჯაშუში, ხელი წაავლეს მოხუცს და პოლიციაში წაიყვანეს. პირველად მას ზრდილობიანად ეპყრობოდენ, ვიდრე საუბარი საერთო საკითხებს შეეხებოდა, როგორიცაა, მაგალითად ხელობა, საცხოვრებელი ადგილი, წლოვანება და სხვა, მაგრამ როცა მან განაცხადა. უკანასკნელად შვილი ომის დაწყებისას ვნახეო, — სასტიკად სცემეს.





განუწყვეტელი ცემისაგან მოხუცს მთელი სახეული დაუწყლულდა, თავი საშინლად დაუმძიმდა, ბარბაცობდა და ისეთი ლურჯი სიმსივნე ამობურთოდა თვალებიდან, რომ სინათლეს ვეღარ ხედავდა.

— გამოტყდები თუ არა, ბოლოს და ბოლოს, შე საზიზღარო ქმნილებავ? არ უსვენებდენ მოხუცს.

*) გაგრძელება იხ. „პიონერი“ № 10.

მოხუცმა დაიწყო ლუღლუღით მტკიცება:

— რაში უნდა გამოვტყდე, თქვენო აღმატებულებავ? ის არ არის ჩემი შვილი... არა და არა...

მეჯინიბე ორი დღე ჰყავდათ პოლიციაში, ბოლოს წაავლეს ხელი და ქუჩაში გამოაგდეს.

— დაიკარგე აქედან, შე ბებერო გაიძვერავ, შენა... მხოლოდ გახსოვდეს: ფრთხილად, თორემ ჩვენ კიდევ მოგნახავთ, თუ საჭირო იქნება.

მოხუცი დიდხანს იდგა ქუჩაში და ვერ გამოერკვია, თუ საით უნდა წასულიყო.

### VIII.

ამის შემდეგ დანიელ კერესტენი როგორღაც გამოიცვალა, მან ცოლს გაანდო ეს ისტორია და დასძინა, ის კაცი უცხო არისო.

— მართალია, ის არ არის ჩვენი შვილი,— ამბობდა მოხუცი, — მაგრამ ნათესაური რაღაც არის მასში... ნეტავ ერთი ყური დაგეგდო, თუ როგორ ცდილობდა ის ამ ისტორიიდან ჩემს დახსნას.

— შეიძლება მართლაც ჩვენი შვილია, იქნება ველარ გამოიცანი...

— არა, გეთაყვა, ნამდვილად ვიცი, რომ არ არის ჩვენი შვილი.



— როგორ მოგმართავდა ხოლმე საუბრის დროს, მამას არ გეძახდა?

— მას ჩემთან არ ულაპარაკია... მხოლოდ მოსამართლეს უმტკიცებდა, რომ მე მისი მამა არა ვარ... „მე არ ვიცნობ ამ მოხუცს",— აი მისი სიტყვები მოსამართლის წინაშე. ნეტავ ყოფილიყავი იქ და მოგესმინა სიყვარულით გამთბარი მისი სიტყვები...

— „არ ვიცნობ ამ მოხუცს" გაიმეორა დედაბერმა და გულამოსკვნილი, ჩუმი ტირილი დაიწყო. მას იმ წუთში მოაგონდა დაკარგული შვილი, რომელიც მისი აზრით ეს ახლადგამოჩენილი ახალგაზრდა კაცი უნდა ყოფილიყო. დედაბერი ფიქრმა წაიღო და ოცნებით სულ „შვილის" საკნის გარშემო ტრიალებდა.

დადგა ზამთარი, გრძელი და დაუსრულებელი ღამეებით. ცოლ-ქმარს ახალი საზრუნავი საქმე გაუჩნდათ და მეზობლებთან სულ ამ „ვილაცის შვილზე" ჰქონდათ საუბარი. ერთხელ ერთმა ახალგაზრდა მეზობელმა ჩამოაგდო საუბარი და სთქვა: „შვილი" ყაჩაღი არ იყო, — კომუნისტები ღარიბთა ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის იბრძვიანო. ასე დაამთავრა ახალგაზრდა კაცმა თავისი საუბარი.

იმ ხანებში მოხუცი ისევ დაიბარეს გამომძიებელთან და შედარებით ცოტა ხანს დააკავეს, შუაღამე იყო, როცა მოხუცი შინ დაბრუნდა, ის ავიდა ლოგინზე, დედაბრის გვერდით წამოწვა და დაიწყო:

— ვნახე ის, ვესაუბრე [illegible] ოთახში...

— ნუთუ მართლა ესაუბრე? — ჩუმად შეეკითხა დედაბერი.

— იცი რა სთქვა? „გახსოვდეს, მოხუცო, მე ზიანი არ მინდა მივაყენო ღარიბ ხალხს, მე ამისათვის როდი ჩამსვეს ჯურღმულში".. მე ვუპასუხე: „აბა რას ბრძანებთ, ხელმწიფევ, მე თქვენ არასოდეს არ გთვლით ცუდ კაცად". მან მიპასუხა: „ნუ მომმართავთ ეგრე, დამიძახეთ უბრალოდ შვილო".. ამ დროს მცველები მოვიდნენ და მან ლაპარაკი უეცრად შესწყვიტა. ცოტა ხნის შემდეგ ის სადღაც წაიყვანეს... წასვლისას მან ერთი გადმომხედა, თავი გაიქნია და..

შუაღამე გადასული იყო, როცა მოხუცი ცოლ-ქმარი უცნობის შესახებ ლაპარაკობდენ

მიდიოდა დღეები, და ახლოვდებოდა გაზაფხული. ერთხელ საუბრის დროს ერთმა თანამოსამსახურემ უთხრა დანიელს: „ხვალ გაასამართლებენ შენს შვილს".

— საიდან იცი? ჩუმად შეეკითხა მოხუცი.

— გაზეთებში სწერია, — მიუგო მოსამსახურემ.

იმავე საღამოს დანიელს თავის დედაკაცთან საიდუმლო საუბარი ჰქონდა, ამის შემდეგ ის წავიდა მმართველთან და სთხოვა მიეცა მისთვის ერთი დღის შვებულება: — დედაკაცი მინდა ქალაქში წავიყვანო ექიმთან. — იცრუა მოხუცმა.

მეორე დილით, მოხუცი ცოლ-ქმარი გაუდგა გზას ქალაქისაკენ.

სასამართლოს დარბაზი ხალხით იყო სავსე. მოხუცი კერესტენი და მისი ცოლი მხრებით ერთიმეორეს ეყრდნობოდენ და დროგამოშვებით გადაჩურჩულებდნენ ხოლმე ერთმანეთს; დედაბერი აკანკალებული თითებში ნერვიულად ჭმუჭნიდა ცხვირსახოცს, ხოლო მოხუცი კერსტენი კი თვალს არ აშორებდა „შვილს".

სასამართლოს პროცესში მათ ვერაფერი გაიგეს, სწავლულები ხმარობდენ მათთვის გაუგებარ სიტყვებს, ისინი გაერკვენ საქმის ვითარებაში მხოლოდ მაშინ, როცა „შვილმა" დაილაპარაკა. მისი სიტყვებიდან მოხუცმა გაიგო, რომ ეს უცნობი ახალგაზრდა კაცი რუსეთიდან ჩამოსულა ღარიბი, მშრომელი გლეხკაცობის შესაკავშირებლად და ასაჯანყებლად. ახალგაზრდა კაცი ხმამაღლა ლაპარაკობდა და ყოველ სიტყვას გამოსთქვამდა მარტივად და გასაგებად. მან სთქვა, რომ არ ნაღვლობს ჩადენილი საქმის გამო, ვინაიდან ის ცუდს არაფერს ხედავს მემამულეებისა და ბანკირების მიერ გაძვალტყავებული ხალხის სამსახურში, მან ისიც კი სთქვა: „მე გავაგრძელებდი ჩემ მუშაობას, რომ არ დავეპატიმრებიეთ, მაგრამ ასე თუ ისე მაინც განვაგრძობ ჩემს მუშაობას". მოხუც კერესტენს თავის სიცოცხლეში არ მოუსმენია ასეთი სიტყვები, ამიტომ ის გულდასმით უსმენდა ახალგაზრდა კაცს და გულში ინერგავდა მის ნათქვამს.

— ჩვენ გვინდა, ამბობდა „შვილი", — ისეთი სახელმწიფო და ისეთი წყობილება, რომლის მართვა - გამგეობის მესაჭეობა ხელთ ექნება მშრომელ ხალხს, მუშებს და გლეხებს. ეს იმიტომ, რომ არ არის არავითარი განსხვავება მუშებსა და გრაფების მამულებში მომუშავეთა შორის: ერთიც და მეორეც მონაა მდიდრების.. ჩვენ გვჯერა, რომ ხუცები და კანონები ვერ დაიხსნიან მათ მონობის უღლისაგან.

ის ლაპარაკობდა განუწყვეტლივ, დახიელი კი ხედავდა, თუ როგორი ზიზღით უყურებდენ მას მოსამსახურენი, ჟანდარმები და მოხელეები. მოხუცი ისევ სულგანაბული უსმენდა მოსაუბრეს.

— თქვენ შეგიძლიათ დაგვაპატიმროთ და საპყრობილეში ჩაგვყაროთ, თქვენ შეგიძლიათ ამოგვწყვიტოთ და ფიზიკურად გაგვანადგუროთ, მაგრამ გახსოვდეთ, ჩვენ ვიპოვეთ ჭეშმარიტი და უტყუარი გზა ხალხისაკენ. ჩვენ მას გავყვებით ბოლომდე! ჩვენ აღმოვაჩინეთ გზა მემამულეების და ბანკირების მიერ დაბეჩავებულ და დამონავებულ მუშათა და გლეხთა მასებისაკენ, ამ უკანასკნელებმაც იპოვნეს ჩვენსკენ მომავალი სწორი გზა...

ის ოდნავ შეჩერდა და მერე ისევ განაგრძო: — ნუ ეყრდნობით ხალხის სიბეჩავეს, მათ უვიცობას და გაუნათლებლობას: მას სულ ჩქარა მოეღება ბოლო. ნუ ეყრდნობით ჟანდარმერიას და საპყრობილეებს. საკმარისია უმნიშვნელო ნაპერწკალი რევოლიუციის უდიდესი ხანძრის ასაფეთქებლად.

„შვილს" 15 წლის კატორღა მიუსაჯეს, დარაჯები წამოდგენ. „შვილიც" თან აჰყვა მათ. ამ დროს წამოდგა დანიელ კერესტენი, ის გაემართა შუა დარბაზისაკენ, მივიდა „შვილთან", ორივე ხელი დაადო მხრებზე და რაღაც წასჩურჩულა. მოხუცის სიტყვა არავის არ გაუგია.

როცა მოხუცები შინისკენ ბრუნდებოდენ ქალაქის გარეუბანში მათ შემოხვდათ მიწის მთხრელი გლეხების ერთი ჯგუფი; ისინი რიგზე ჩამომსხდარიყვნენ გზის პირად, თხრილიდან ამოყრილ მიწაზე, დანიელიც მიუჯდა მათ და სთქვა:

— ცხელი ზაფხული იქნება.

ტყაპუჭებიანმა ქერა ყმაწვილმა უპასუხა: „ზოგისთვის ცხელი, ზოგისთვის კიდევ თბილი".

— მე ახლა მოუსმინე ერთ კაცს, რომელსაც უ ოვია უტყუარი გზა ხალხისაკენ. იცით თუ არა თქვენ, მეგობრებო, რაიმე ამის შესახებ?

ორმა თუ სამმა გლეხმა თავი წამოწყო და თვალებში მიაჩერდა დანიელს, ტყაპუჭებიანი ქერა ყმაწვილი წამოდგა, მიუახლოვდა დანიელს და ცნობისმოყვარეობით ჩააცქერდა.

— ასეთი საქმეების შესახებ, მოხუცო, ჩუმად ლაპარაკობენ.

იგი გვერდით მიუცოცდა დანიელს და ყურში წასჩურჩულა.

— თუ გინდა მოვილაპარაკოთ, შაბათ საღამოს ქარის წისქვილთან გამოიარე და იკითხე მეეტლე კონტუ.

გლეხები წამოდგენ და სხვადასხვა მიმართულებით დაიშალენ; ქერა ყმაწვილიც გაუდგა გზას.

ქერამ ვერ მოასწრო რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა, მოხუცი შემოტრიალდა და მიაძახა:

— მაშ, ვიკითხო კონტუ, არა?

— დიახ, კონტუ.

— ძალიან კარგი.

განთიადისას, როცა მზის ცხოველმყოფელი სხივები წითელ - ყვითელ და ლურჯ ყვავილოთა კონებად გადაეფრქვია ველებს, დანიელმა ნახირი გამოდენა ველად, ის თავის მოტვლეპილ თავს იბანდა დილის თეთრი შუქის ნიაღვარში, ხოლო შიშველი ფე-

ხებით მუხლებამდე იდგა ცვარით დაწინწკლულ ბალახში. საერთაშორისო ომის ინვალიდი და სამოცდახუთმეტი პროცენტით შრომის უნარს მოკლებული მენახირე ზელენკა შემოხვდა წინ და მკვირცხლად მიაძახა მოხუცს: „დილა მშვიდობისა“.

— რამდენი წლისა ხარ, ბაბუა დანიელ?— შეეკითხა მენახირე.

მოხუცმა ზანტად აწია ხელი და კეფა მოიქექა.

— სამოცზე მეტისა...

— სამოცი... ჩაიცინა მენახირემ, — ამბობენ, რომ, შენ არც თუ ისე მოხუცებული ხარ...

— როგორ თუ არა...

— თუ კი კაცს შენს ასაკში „შვილი“ შეეძინება, ცხადია, მოხუცებული არაა.

დანიელმა იჭვნეულად გადახედა ახალგაზრდას, მაგრამ მოსაუბრის სახის გამომეტყველება იმდენად სანდომიანი და გულუბრყვილო იყო, რომ მოხუცი დამშვიდდა. ზელენკა მახლობლად კუნძზე ჩამოჯდა დანიელის გვერდით, ქუდიდან ნელა გამოაძრო დაჭმუჭნილი პაპიროსი და გააბოლა.

აი, რა მდგომარეობაა იმ „შვილის“ შესახებ... გცემენ ჟანდარმები, გამომძიებლები, პოლიციის მოხელეები, მაგრამ „შვილი“ მაინც შენი არ არის.

— ჩემი „შვილი“ არ არის ის,—სთქვა მოხუცმა, ნელა ჩაახველა და ისევ განაგრძო,—მაგრამ მაინც არ ვნანობ.

— ჰა, ჰა, ჰა,—გაიცინა ზელენკამ—არ ნანობს! გცემენ და არ...

ის წამოდგა და სერიოზული სახის გამომეტყველება მიიღო:

— იცი, ბაბუა დანიელ, რა უნდა გითხრა? ეგრე უნდა, ან რა გაქვს სანანებელი... ბოლოს და ბოლოს ის შენი შვილია... ჩემი შვილი, და საერთოდ ყველა ჩვენთაგანის შვილია...

მან გახედა ნახირს, რომელიც სოფლის საზღვრამდე მისულიყო, ერთი ლაზათიანად გადააფურთხა და, ვიდრე წაიდოდა, დაატანა:

— შაბათ საღამო არ დაგავიწყდეს.

დანიელმა შეხედა ყმაწვილს, მას ვერაფერი გაეგო.

— ამანაც იცის?

თავი გაიქნია მოხუცმა და კანტორისაკენ გაემართა, რომ შეეტყობინებია მმართველისათვის ხბოების ავადმყოფობა, მმართველი მაგიდას უჯდა და თვალაუღებლივ უპასუხა:

— შეატყობინე ბეითალს.

ბეითალი სოფელში ცხოვრობდა.

დანიელი წავიდა მოსაყვანად; გზად ჩაუარა ქარის წისქვილს და ცოტა ხნით შეჩერდა წისქვილში. დანიელს მეეტლე კონტრუ იქ დახვდა, იმათ კარგა ხანს ისაუბრეს. ამინდის, მოსავლის, ცოლისა და სხვა მტკივნეულ საკითხებზე; საუბრობდა მხოლოდ მოხუცი დანიელი, ვინაიდან მეტად ცივი და უხეში მეეტლე მჭერმეტყველი არ იყო; ის მხოლოდ უსმენდა მოხუცს.

— ჩამოვუგდო, თუ არა საუბარი იმაზე? —ეკითხებოდა თავის თავს დანიელი.

მეეტლე ალაგებდა ფქვილის ტომრებს და არავითარ ხალისს არ იჩენდა საუბრისადმი.

დანიელი იჯდა ერთი მეორეზე დაწყობილ აგურზე და ხელში ათამაშებდა ჩალის ღეროს, ახედა ცას და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ისევ ავადმყოფ ხბოებზე ჩამოაგდო ლაპარაკი. მეეტლე სდუმდა...

— ახლა მე ბეითალთან წავალ,—ორჭოფულად წარმოსთქვა დანიელმა.

მაღლა ხმაურობდენ წისქვილის ფრთები, უბერავდა ძლიერი ქარი. დასავლეთიდან მოიზლაზნებოდენ ღრუბლები.

დანიელმა ვერ დასძლია თავისი ცნობისმოყვარეობა და იკითხა:

— რა იქნება აქ შაბათ საღამოს?

კონტრუ, რომელიც ალაგებდა ფქვილის ტომრებს, შემობრუნდა და დაუყვირა მოხუცს:

— ვინ გითხრათ თქვენ, რომ აქ რაღაც იქნება?

დანიელმა დაასახელა ქერა გლეხი; გლეხის დასახელებამ მეეტლე დააშოშმინა, ის ისევ თავის სამუშაოს მიუბრუნდა ;რამდენიმე წუთს შემდეგ მეეტლემ უთხრა დანიელს:

— თუ კი მან სთქვა... ისე, პურმარილი იქნება, ან სხვა რამე, რა ვიცი, ეშმაკმა დალახვროს.

## IX.

შაბათ საღამოს დანიელმა ჩაიცვა ძველის ძველი „სადღესასწაულო ფიჯაკი“, დაიხურა შვილის განიერი ქუდი, ფეხზე კი ჩექმები ჩაიცვა. დედაბერიც გამოეწყო. ორივენი ისე იყვნენ ჩაცმულნი, თითქოს მწუხრზე წასასვლელად გამზადებულანო.

ისინი კარგი მანძილით იყვნენ დაშორებული ბატონის მამულს, როცა დანიელმა შენიშნა, რომ დედაბერს მიჰქონდა განიერ ცხვირსახოცში გამოხვეული ლოცვანი.

— რად გინდა ლოცვანი?—იკითხა დანიელმა.

დედაბერმა ვერ მისცა დამაკმაყოფილებელი პასუხი და გაჩუმება ამჯობინა.

როცა დანიელმა პასუხი ვერ მიიღო, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— რა საჭიროა აქ ლოცვანი?

— რამე ხომ უნდა გეჭიროს ხელში,— სთქვა დაბოლოს დედაბერმა,—მე არ შემიძლია ცალიერი ხელებით სიარული,—უკმაყოფილოდ დაატანა მან.

— განა ლოცვანმა იპოვა გზა ხალხისაკენ?? სად იყო შენი ლოცვის წიგნი მაშინ, როცა პოლიციელი უწყალოდ მცემდა?

კიდევ მცირედი მანძილი გაიარეს, მოხუცი დანიელი ისევ შეჩერდა.

— მე არავითარი ლოცვანები არ მჭირდება. უხსოვარი დროიდან არსებობდენ ეკლესიები თავისი ლოცვანებით, მაგრამ რა გააკეთეს საწყალი ხალხისათვის? მიპასუხე, როზალ, რა მიიღეს მისგან ღარიბ-ღატაკებმა?

დედაბერი სდუმდა.

— სიცრუე... სიყალბე... გაიძვერობა... პირმოთნეობა და მლიქვნელობა,—განაგრძო დანიელმა—ასისხლიანებული ცხვირპირი, შიმშილი, ჭლექი... ლოცვანებმა გზა იპოვეს მემამულეებისა, სასამართლოს მოხელეების, მდიდრებისა, და არა დანიელ კერესტენისაკენ.

მოხუცმა ისევ განაგრძო ხრიწიანი ხმით:

— მხოლოდ ერთმა ჟანდარმმა იპოვა გზა ჩემსკენ.

— რომელმაც გცემა, არა?—შეეკითხა ცოლი.

## X

მეეტლე კონტრუ წისქვილის წინ იჯდა და მზისუმზირას სჭამდა. დანიელი და მისი ცოლი უკვე მიახლოვებოდენ წისქვილს, მაგრამ მეეტლე კონტრუ ყურადღებას არ აქცევდა მათ, თითქოს არ შეუმჩნევია ისინი და მზისუმზირას კვენეტით იყო მარტო დაინტერესებული.

— აი, ჩვენ მოვედით, კონტრუ.

— მარჯვნით აჰყევით კიბეს.

შიგ იჯდა ორი კიმბერგელი ქალიშვილი, ახლადჩამოსული მეწისქვილი. ქერათმიანი გლეხი და მუდამ მხიარული ინვალიდი ზელენკა.

დანიელმა ქუდი მოიხადა და მიესალმა იქ მყოფთ.

მისმა ცოლმა დაბლა დახარა თავი. ქერათმიანმა ყმაწვილმა ადგილი დაუთმო მათ და მიიპატიჟა:

— იყავით ისე, როგორც ამხანაგებში ხართ ხოლმე... თან ღიმილით დაატანა:

— აქ ჟანდარმები არ არიან.

— ასეც უნდა იყოს,—წარმოსთქვა დამშვიდებით დანიელმა და ცოლს მოუჯდა.

დამსწრეები ნელი ხმით ესაუბრებოდენ ერთიმეორეს. არავინ თამბაქოს არ ეწეოდა, საერთოდ სუფევდა რაღაც სადღესასწაულო სიჩუმე და სულიერი განწყობილება. გლეხი ქალები სახის დინჯი გამომეტყველებით გასცქეროდენ სივრცეს.

წამოდგა ახალი მეწისქვილე, ქერათმიან გლეხთან ერთად მივიდა მაგიდასთან, ჩექმის ყელიდან ამოაძრო მწვანე წიგნაკი და გადასცა მას. ქერა გასწორდა; წინ, მაგიდაზე დადო გრძელბეწვიანი ბუხრის ქუდი, რომელიც ცოცხალ ცხვარს მოგაგონებდათ, მიიხედ-მოიხედა და სთქვა:

— დავიწყოთ, ამხანაგებო.

დანიელმა შეამჩნია, რომ დამსწრეები ნელ ნელა დგებიან. დანიელმაც მიბაძა სხვებს, და როცა ყველა ფეხზე იდგა და შესცქეროდა ორატორს, მან გარკვევით წარმოსთქვა პროლეტარული ჰიმნის პირველი ბწკარი:

„ადსდექ, მშიერო წამებულო“...

სხვებმა გაიმეორეს.

ამის შემდეგ დამსწრენი დასხდენ და ჭყუდროებით მოცულ ოთახის კედლებს შორის ქერა მეწისქვილის პირით ალაპარაკდა ლენინი.

ეს იყო დანიელ კერესტენის პირველი დასწრება პარტსკოლაში. დანიელი სრული 62 წლის იყო.



ა. 5 ძე.

# დაკვრითი ამოცანების შესრულებისათვის ვიყოთ მზად

საკავშირო კომპარტიის მე-16 ყრილობამ უდიდესი ისტორიული ფურცელი გადაშალა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. თუ მე-14 და მე-15 ყრილობებმა სიმძიმის ცენტრი სახალხო მეურნეობის აღორძინების ცალ-ცალკე დარგებზე გადაიტანეს, მე-16 ყრილობამ, როდესაც მიღწევები შეაჯამა, ჩვენი პარტიის ბელადი ლენინის ერთგული მოწაფის ამხ. სტალინის პირით განაცხადა, რომ მე-16 ყრილობა და მიმდინარე პერიოდი — ეს არის ყველა ფრონტზე შეტევის პერიოდი. მე-16 ყრილობამ, დასახა რა სოციალიზმის შემდგომი მშენებლობის კონკრეტული გზები, უდიდესი ყურადღება მიაქცია ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ისეთ უდიდეს მხარეს, ურომლისოდაც ძნელი ხდება ჩვენი ამოცანების გადაჭრა: აქ ლაპარაკია კულტურული რევოლიუციის საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ უფროს ძმებთან — კომკავშირელებთან ერთად პიონერებმა მთლიანად უნდა შეისწავლონ მე-16 ყრილობის დადგენილება, ურომლისოდაც ძნელი იქნება იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც ჩვენ დაგვაკისრა მიმდინარე ცხოვრებამ და ჩვენმა პარტიამ, განსაკუთრებული ენერგიით უნდა შევისწავლოთ პარტიის დადგენილება და ამოცანები კულტურული რევოლიუციის ფრონტზე.

უვიცი, წ.-კ. უცოდინარი სოციალისტურ მშენებლობაში ყრუა, ის კლასიურ მტრებთან ბრძოლაშიაც უვარგისია, ის ვერ შეიგრძნობს და ვერ შეითვისებს იმ ადამიანის ბუნებას, რომელიც შეგნებით აშენებს სოციალიზმს, უხარია თითოეული ახალი ქარხანა და ახალი სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი თუ კომუნა, აწარმოებს იქ სოც-შეჯიბრებას, დამკვრელობას და სხვა, ვინაიდან მას ესმის რას აკეთებს.

საკ. კ.პ. (ბ) ც.კ. დადგენილებით, 1930—31 წლიდან უნდა დაიწყოს საყოველთაო სავალდებულო სწავლება 8, 9, 10 წლის ასაკის ბავშთათვის და აგრეთვე ასაკგადაცილებულთათვისაც 11-15 წლამდე, რომლებსაც არ გაუვლიათ დაწყებითი კურსი; ამ უკანასკნელთათვის დაწესებულია სწავლების დაჩქარებითი ფორმები ერთწლიანი სკოლა—კურსების სახით.

ამავე დღიდან უნდა გატარდეს საწარმოო და მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში საყოველთაო დაწყებითი სწავლება 7 წლიანი განათლების მოცულობით, მხოლოდ არა დღევანდელი არსებული 7 წლედებით, რომლებიც ფეხდაფეხ ვერ მიჰყვებიან სოციალისტურ მშენებლობას მათზე დაკისრებულ საკითხებში, არამედ ფართოდ უნდა გაიშალოს საქარხნო-საფაბრიკო და კომუნალური სკოლები, სოფლად კი, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში,—კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლები.

ამ დადგენილების გატარებისათვის ფეხზე უნდა დადგეს ყველა ორგანიზაცია და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა, კერძოდ კომკავშირი და ნ. პ. ორგანიზაცია შეთია ამ საქმის. უნდა შევასისხლხორცებინოთ ყველას, რომ „საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღება წარმოადგენს უდიდეს გამარჯვებას არა მარტო კულტურული, არამედ სამეურნეო ფრონტზეც“ (ი. სტალინი). ლენინურმა კომკავშირმა არა ერთი და ორი გამარჯვება მოიპოვა თავისი ბრძოლით, ინიციატივით და შრომით სოციალიზმის ყველა ფრონტზე, სადაც მას უმცროსი ძმებიც—პიონერები—ყოველთვის ეხმარებოდენ და ასევე უნდა დაეხმარონ ამ საქმეშიც, რომ თავისი შეფობა სავალდებულო სწავლებაზე კომკავშირმა შეასრულოს და გამარჯვებით დააგვირგვინოს.

რა ევალებათ ნ. პიონერებს პრაქტიკულად?

აი რა:

ნ. პ. კოლექტივების მუშაობის მთლიანად შეფარდება ამ ამოცანებისადმი, ბავშთა მთელი მოსახლეობის შემოკრებით და მშობლებში სისტემატიური აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა თითოეულმა კოლექტივმა, პიონერმა და ყველა ბავშმა უნდა შეისწავლოს კომკავშირის აქტივის ხელმძღვანელობით ყველა ის დადგენილება და ღონისძიება, რომელიც ამ საკითხზე აქვს პარტიასა და ხელისუფლებას. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა პიონერბიუროებმა შეადგინონ ზუსტი სამუშაო გეგმები ამ საკითხზე და მთელი ორგანიზაცია აამოქმედონ მის საფუძველზე. მასიურად უნდა ჩამოყალიბდეს დამკვრელი ბრიგადები კომკავშირის ბრიგადებზე მისამაგრებლად, რომ მათ გააძლიერონ პროპაგანდა თეატრებში, კლუბებში, მსხვილ საცხოვრებელ სახლებში, კომუნებში, კოლექტივებში, ქოხ-სამკითხველოებში და წითელ კუთხეებში. აღნიშნულ ადგილებში უნდა მოეწყოს და გამოიცეს ცოცხალი გაზეთები, მხატვრული გასართობები, დიაგრამები, პლაკატები, კონსულტაციები, ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები და სხვა; კომკავშირის „მ. კ.“ ჯგუფებთან ერთად პიონერთა „მ. კ.“ ჯგუფებმა უნდა გააძლიერონ თავდასხმები ყველა ორგანიზაციაზე და გამოიყენონ საზოგადოებრივი ბუქსირი მათთვის, ვინც უკან რჩება, ან არაფერს არ აკეთებს. ბავშთა აღრიცხვაში და მათთვის სხვადასხვა დახმარების მოწყობაში პიონერებმა მოწინავეთა როლები უნდა შეასრულონ; განსაკუთრებით უნდა ვეცადოთ მშობლების ჩაბმას ამ საქმეში, რისთვისაც კოლექტივების ინიციატივით უნდა ჩატარდეს მშობელთა კონფერენციები, რის შემდეგ ამ საკითხს უნდა მიეძღვნას მხატვრული საღამოები.

მოეწყოს საკონსულტაციო პუნქტები ყოველგვარი მხატვრული მიმზიდველობის გამოყენებით, სადაც საუბრებს უნდა ატარებდენ მომზადებული კომკავშირელები და განათლების მუშაკები.

ამ უდიდესი საქმის გაკეთებაში ყველაზე მძიმე ვალი აწევს ჩვენს ამხანაგებს; ჩამორჩენილ რაიონებში მათ დასჭირდებათ დაკვირვებული და მოფიქრებული მიდგომა მოსახლეობისადმი (აჭარისტანი, სვანეთი, აფხაზეთი და სხვა), რაიბიუროებმა უნდა ჩაატარონ ყოველგვარი საქმიანობა იმისათვის, რომ შექმნან მატერიალური ფონდები კინოსეანსების, ფასიანი საღამო-წარმოდგენების, სეირნობის, ლოტარეის, შემოწირულების და სხვა საშუალებით. ასევე უნდა შეგროვდეს სასწავლო ნივთებიც.

არ უნდა დარჩეს არც ერთი კოლექტივი, რომ არ დასთესოს ღარიბ მოსწავლეთა ფონდის სასარგებლოდ ერთი ნაჭერი მიწა.

ერთ წერილში ძნელია ამ საქმის მთელი მნიშვნელობისა და პრაქტიკული ნაბიჯების ასახვა, რაც თავისი ინიციატივით უნდა შესძლოს ნ. პ. ორგანიზაციამ. თითოეული კოლექტივი და ცალკეული პიონერი ამ უდიდეს საქმეში უნდა გადაეშვას საქმის თავდავიწყებული სიყვარულით და გამძლეობით. უნდა ვიცოდეთ, რომ ეს უდიდესი საქმე იოლად არ გაკეთდება, აუცილებლად გადაგველობება წინ მატერიალური უსახსრობა და, რაც მთავარია, კლასიური მტრების შემოტევა: კულაკი, მღვდელი, ვაჭარი, მენშევიკების და ყველა კონტრ-რევოლიუციონერი აგენტები დაიწყებენ პროვოკაციებს, მოღალატეობას და სხვა ასეთებს, ამიტომ პიონერებმა თავისი უფროსი ძმების—კომკავშირელების ხელმძღვანელობით და წინდახედული მიდგომით უნდა გააძლიერონ ბავშთა პროლეტარულ-კლასიური აღზრდა და შეუტიონ შეგნებულად ყოველგვარ მტერს, სააშკარაოზე იქნება ის გამოსული თუ ქურქში გახვეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11

ვასო ჩაჩიბაია.

# უცხოელი პიონერები ჩვენში

მუშათა და გლეხთა ბავშების მეორე მსოფლიო შეკრება მოხდა გერმანიაში, ქ. ბერლინში. შეკრებაზე არ მონაწილეობდა საბჭოთა კავშირი, არ მონაწილეობდა იმიტომ, რომ ასე უნდოდა გერმანიის ბურჟუაზიულ ხელისუფლებას, მაგრამ 18 აგვისტოს საქართველოს პიონერებს ეწვიენ ძვირფასი სტუმრები, უცხოელი პიონერები გერმანიიდან, ავსტრიიდან და ჰოლანდიიდან, 22 კაცის შემადგენლობით; ისინი ჩამოვიდნენ აქ, რომ მოუთხრონ ჩვენს პიონერებს შეკრების შესახებ.

19 აგვისტოს, საღამოს ექვსი საათია. ორი ავტობუსი მიგუგუნებს კოჯორისკენ, ჩემს გვერდით სხედან ერიხ იუნგმან და ფრანცისკა ჰუბერ. მიჰქრის ავტობუსი, და გუგუნებს პიონერთა რევოლიუციონური მარში: „დერ-როტე ვედდინგ“.

— მუსიკას სიცოცხლე აკლია რატომღაც...—წარმოვსთქვი.

უცებ გამაწყვეტინა ფრანცისკა ჰუბერმა:

— ამხანაგო ვასო, თქვენ სცდებით, და განაგრძო დინჯად, ლოღიკურად, დაკვირვებით, რაც მე 11-12 წლის ფრანცისკასაგან ძალიან გამიკვირდა; ის მეუბნება:

— მაშ თქვენ რევოლიუციას თვით მუსიკაშიც ეძებთ; რაღა თქმა უნდა, მშვენიერი სურვილია, მაგრამ ბგერათა კომპოზიციას, რომელშიაც მთელი რევოლიუციონური ქარტეხილი გადაიჭრეს და ენთოს შიგ პროლეტარული მოძრაობის ჩაუქრობი კოცონი, ვერ მოგვცემს, ამხანაგო ვასო ერთი კომპოზიტორი.

— არა, მე თქვენს „როტე ვედინგ“-ში კი არ ვეძებ ყველაფერ ამას, მაგრამ იგი უნდა ყოფილიყო უფრო მეტი ცეცხლის მქონე.

— მართალი ხართ, შეიძლებოდა მეტი ცეცხლი ჰქონოდა მას... მაგრამ ის მუსიკა, რომელზედაც თქვენ მეუბნებით, არის რევოლიუცია, ხოლო მისი კომპოზიტორი მხოლოდ და მხოლოდ გერმანიის პროლეტარიატია.

მოისმა უცებ ბარაბნის ხმა, საყვირის ძახილი და დაუსრულებელი „ვაშა“. ეს კოჯორის, ინტერნაციონალური ბანაკის პიონერებია.

და ორი ავტობუსი ხვეული გზით ტყეში მიიმართება ბანაკისაკენ; ბანაკამდე ყოველ მოსახვევში ძახილი და ჟრიამული გვხვდება. არის სიხარული, არის აღტაცება.

თანდათან ბნელდება.

ვახშმის შემდეგ ტყის სიბნელეში გაჩნდა ფარნები, თითქოს მემაღაროები გზას იკვლევენ მაღაროში.

მაგრამ ამ ფარნების მოძრაობა არ ჰგავს მეაღაროეთა ფარნების მოძრაობას, ესენი მარდად დარბიან და თან მიაქროლებენ ძახილს; პიონერები ერთმანეთს ეძახიან: „სერგო, კოსტია, გრიშა, ანგია, ვალტერ, ჰაინრიშ, ოტო, ლიზა, ფრანცისკა, გენოსსენ, ამხანაგებო!“. აი, სახელები, რომლებიც ისმის ჟრიამულში. ადგილობრივი პიონერები სახეს უნათებენ ყველა გენოსსეს (ამხანაგო—გერმანულად) აი, ეგერ შორს სინათლის რკალი გადმოხტა და კლაკნით მორბის. ეს 12 წლის ოტოა.

— ნელა, ამხანაგებო, მოდით აქ,—დავუძახე სტუმრებს, რომ არ დაბნეულიყვნენ და ერთად წავსულიყავით კოცონისაკენ, და ამ დროს სწორედ ეს მორბენილი სინათლე მომახტა და ჩქარ სუნთქვაში სხაპასხუპით მეუბნება:

— ვასო, ვასო, ტყეში დიდი დათვია.

მე გამეცინა, რაზედაც ის უფრო გაცხარდა, ჩამკიდა ხელი და...

— ჩქარა, ჩქარა, გამოიქე ჩემთან ერთად.

გავყევით და ვნახეთ უზარმაზარი კუნძი...

— კოცონთან, კოცონთან.

მოისმა ძახილი, და გავეშურეთ ყველანი კოცონისაკენ.

ავარდა ალი ჰაერში, ანთია დიდი ცეცხლი და ანთია უზარმაზარი აღტაცება და სიხარული.

— ამხანაგებო, პროლეტარულ ბავშთა მეორე მსოფლიო შეკრების შესახებ სიტყვა ეკუთვნის ვალტერს.

— ვაშაა, ვაშაა, ურაა, ურაა!..

და მქუხარე ტაშმა დაფარა იქაურობას.

მაგრამ ვალტერი არ არის.

— სად არის ვალტერ?

— ვალტერ არ არის, ვალტერ გაქრა!— დაიძახა კოსტიამ, და სხვადასხვა მხრით ელვის სისწრაფით გაიქცენ ორ-ორი, დანარჩენებმა კი კოცონთან გამართეს სიმღერები, ცეკვა-თამაში; უნდა ითქვას, რომ ეს კოსტია საუკეთესო ხელმძღვანელია ბავშების, ის იქ ყველას უყვარს, ყველას მისი სახელი აკერია პირზე იმიტომ, რომ მან ალლო აუღო ბავშის ბუნებას. და აი ცეკვა-თამაშის შემდეგ მთელ კოცონს ხმამაღლა დააძახებინა სამჯერ:

---

ზაქრო დოლიაშვილი

## შეხვედრა დელეგატებთან

ვდგევართ სადგურზე მწყობრი რიგები,
დელეგაციის ჩამოსვლას ველით,
სულ არ დაგვეზარდა დიდხანს ლოდინი,
სადგურს მოადგა მატარებელი.
ვუკრავთ მუსიკას, დავძახით „ვაშას“,
გადმოდის დაბლა დელეგაცია,
გულის ფანცქალით ვუცქერთ ყველა მათ,
„თავის“ ქვეყნებზე რას მოგვაწვდიან...
ისინი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის,
გერმანელი თუ, ფრანგი, არაბი,
მალე დაიწყეს ჩვენს წინ თამამად
თავის ენაზე მათ ლაპარაკი.
ვერ მივხვდი, რა სთქვეს, რას მოგვითხობდენ,
სულ არ მესმოდა სიტყვა არცერთი,
მხოლოდ იმათგან ეს კი გავიგე,
როცა იძახდენ: „პროლეტარს!“... „ლენინს“!
მსურს ეს გადმოგცეთ, პიონერებო,
ყველამ ვისწავლოთ უცხო ენები,
რომ არ შეფერხდეს რევოლიუციის
დაუდგრომელი სვლა და ტემპები.

---

— ვალტერ, ვალტერ, ვალტერ!

— აქ ვარ!

მოისმა უცებ, და პატარა ჯიბის ნათურით ხელში შემოირბინა ვალტერმა, რომელსაც შემოჰყვნენ კოსტიას „მეძებრები“.

— ვაშაა, ვაშაა!..

და კოცონიც გადიდდა, უფრო მეტის სიმძლავრით ავარდა ალი ჰაერში, და დაიწყო ვალტერმა:

— ამხანაგებო! ინტერნაციონალური შეკრების დელეგაციის სახელით მოგესალმებით ლოზუნგით: „იყავ მზად!“...

— მზად ვართ! იმმერ ბერაიტ!—ავარდა პასუხად კოცონის გარშემო.

და განაგრძო თავისი სიტყვა ვალტერმა:

— ... დიახ, ამხანაგებო... საბჭოთა კავშირის პიონერები ცერგიბელმა არ შეუშვა გერმანიაში, გერმანიის ბურჟუაზიული ხელისუფლება ყოვლად შეუწყნარებელ ჭორებს და ცილისწამებას ავრცელებდა საბჭოთა კავშირის პიონერების შესახებ, თითქოს ისინი გერმანიაში შემოიტანდენ გადამდებ ავადმყოფობას, სენს და დაასახიჩრებდენ, დაავადებდენ გერმანელ ბავშებს. მაგრამ, ამხანაგებო, მუშათა და გლეხთა ბავშების მეორე მსოფლიო შეკრებას და გერმანიის პროლეტარულ ბავშთა კავშირს გვამოქმედებს აგრეთვე გიგიენურ-სანიტარული თვალსაზრისი, რათა გერმანია გავწმინდოთ ცერგიბელებისაგან, მაგრამ, ამხანაგებო, მარტო ჰიგიენაც არ კმარა, ჩვენ მზად ვართ, გერმანიის მომავლის დოსტაქრები, იმ გადამწყვეტი ოპერაციისათვის, რის შემდეგ სავსებით განიკურნება გერმანიის პროლეტარიატი ისეთი სენისაგან, როგორიც არის ცერგიბელი და ბურჟუაზია.

გაუმარჯოს ყველა მუშათა და გლეხთა შვილების სოლიდარობას!

ასე დაამთავრა ვალტერმა, და ადგილი, სადაც მხოლოდ ვალტერის სიტყვები და ცეცხლის ტკაცანი ისმოდა აქამდე, უცებ აიტაცა ჟრიამულმა და მქუხარე ტაშმა... და თითქოს კოცონმაც იგრძნო ეს მქუხარე და გაბედული სიტყვები პატარა გერმანელის და თანდათან დიდის სიძლიერით ავარდა ჰაერში.

შემდეგ გაიმართა საუბარი შეკითხვებით, რაც უფრო შეეხებოდა ურთიერთ-ყოფაცხოვრების საკითხებს.

დასასრულს პიონერებმა შეასრულეს ყველა ნაციონალური სიმღერა და ცეკვა-თამაში, რის შემდეგ სიმღერით გაემართენ დასასვენებლად.

მეორე დილით უცხოელ ბავშთა დელეგაცია დიდი ჟრიამულით და ვაშას ძახილით გამოაცილეს კოჯრის პიონერებმა.

ჩამოვედით ისევ ტფილისს, და საღამოს 8 საათზე დელეგაცია ესტუმრა კულტურისა და დასვენების ბაღს, სადაც გაიმართა საზეიმო საღამო. პრეზიდიუმში არჩეულ იქნა უცხოელთა მთელი შემადგენლობა, და ამხ. დალაქიშვილმა გამოაცხადა „სიტყვა ეკუთვნის დელეგაციის სახელით ამხ. ერიხ იუნგმანს“—მთელი მოედანი დაფარა მქუხარე ტაშმა და სასულე ორკესტრის ხმაურმა.

ერიხ იუნგმანი, დელეგაციის ხელმძღვანელი, 20-22 წლის გადმოდგა ესტრადაზე და მთელი გერმანიის ახალგაზრდობის სახელით აღუთქვა მაყურებლებს დაუღალავი და შეუპოვარი ბრძოლის წარმოება საბჭოთა გერმანიისათვის...

იუნგფრონტის გერმანული მუშტის აწევით აშკარად ლაპარაკობდა მისი მტკიცე და ღრმა თვალები, რომ ეს მუშტი მალე გადმოაყირავებს ცერგიბელის და ბრიუნინგის ხელისუფლებას.

საპასუხო სიტყვების შემდეგ დელეგაციამ მიიღო საჩუქრად: ბარაბანი, საყვირი და ფ. მახარაძის სურათი.

22 აგვისტოს დილის 7 საათზე ბორჯომის მატარებლით გავემგზავრეთ ქვიშხეთის პიონერთბანაკ „გიგანტი“-ს დასათვალიერებლად. ქვიშხეთის ბაქანთან დაგვიხდა 400 წითელყელსახვევიანი და უამრავი ხალხი, კინო-აპარატი, ფოტოგრაფები. დახვედრა იყო აღსავსე დიდის აღტაცებით და სიხარულით. მოედანზე მიტინგი გახსნა ამხ. ჩალაძემ, შემდეგ დელეგაციის სახელით მიესალმა ამ ბანაკის პიონერთა ზღვას ჰოლანდიის პიონერთა ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარე ანიკლაინი.

მერე გავემგზავრეთ ბათომისკენ. ბათომში დაგვიხდენ ადგილობრივი პიონერები და მუსიკით გავემართეთ საოლქო კომიტეტის შენობისაკენ, სადაც ჩატარებულ იქნა მიტინგი... შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ჩაქვის ჩაის პლანტაციები და აზნავთის ქარხნები და საღამოს 9 საათზე გემით „ლენინი“ უცხოელი ლენინელები გაემგზავრნენ სოხუმისაკენ.




ილუსტრაციები მხატვარ **დ. ქუთათელაძის**

**ბ. ჩხეიძე**

I.

იქ, ქალაქის კარგად მოშორებულ უბანში, ჯერ არც კოოპერატივის წერტი და სასადილო არ იყო მოწყობილი. გარეშემო არაფერი ჩანდა, გარდა გადამწვარი ფართო მინდვრისა. ერთ მშვენიერ დღეს მოვიდნენ ინჟინრები, ტეხნიკოსები, ვიღაც ტყავის ჩანთიანი და ქუდიანი კაცები. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ხალხი ახლო - მახლო პატარა სახლებიდან ერთბაშად გამოეფინა გრძელ მინდორზე და მოსულებს შემოეხვია. პირველ შეხედვაზე მოსულები უცხოები ეგონათ მაგრამ, მათთან რომელიც თავი კაცი, ტრიალებდა ყველასთვის კარგად ნაცნობი სერგია ამწყობი. გაიმართა მხიარული საუბარი. მოხუცი ინჟინერი და ერთი მისი თანაშემწე ხალხს ერთ კუთხეში შეგროვებას ეხვეწებოდენ. გამოჩნდა დურბინდის მაგვარი, ჯოხებზე შემდგარი რაღაც ხელსაწყო. მოხუცი ინჟინერი ისე იყურებოდა ამ იარაღში, თითქოს ეს არის შიგ უნდა გაძვრესო, თანაც ციფრებს უბის წიგნაკში იწერდა.

ბიჭუნაც იცნობდა სერგია ამწყობს და მიტომ გაუბედა:

— ბიძია სერგო, აქ რას აპირებთ?

სერგომაც დაუყოვნებლივ მიუგო:

— ქარხანა უნდა ავაშენოთ, დიდი ქარხანა. რაც აქ სახლებია, სულაც, რომ შიგ შეიტანო და დადგა, კიდევაც ათჯერ მეტი იქნება.

სერგოს მეტის თქმა აღარ შეეძლო, რადგან აქეთ - იქიდან აყრიდენ უკვე კითხვებს:

— ვინ აშენებს?

— რის ქარხანას აშენებენ?

ინჟინერი და სერგო თავის საქმეს მიიჩნენ, ჩასხდენ ავტოში და წავიდენ. ხალხიც დაიშალა. სჯიდენ თავისებურად. ბევრს არ სჯეროდა, მაგრამ უნდა დაეჯერათ...

დილას ადრე, სანამ ცხოველი მზე ქალაქის ყველა კუნჭულს ჩასწვდებოდა, გაზომილ მოედანს მოადგა რამდენიმე ასეული მუშა, რაზმებად დაყოფილი. მათ ხელში ეჭირათ მიწის სათხრელი იარაღები და გამიჯნულებში დაიწყეს ჩქარი და თავგამეტებული მუშაობა. სულ ერთი საათის შემდეგ შორიდან მოროხინებდა საბარგო ავტომობილები, ფურგუნები, ურმები... მათ დასასრული არ უჩანდა, და მოჰქონდათ ხე-ტყე.

მასალა ხელად გადმოყარეს მოედნის ერთ მხარეს და გაბრუნდენ. მათ მაგიერ მოვიდა ტრანსპორტის ახალი წყება მათი დათვლა აღარც კი ღირდა, უთვალავი იყო. მოედნის მეორე მხარე აივსო ცემენტის კასრებით. ერთის თუ ორ საათში ტრიალ მინდორზე ველარსაით გახედავდით. სერგო დარბოდა, რაც შეეძლო. გამოირკვა, რომ მუშები არ კმაროდა. არც ბირჟაზე იყო ხალხი. სერგო ბრაზდებოდა და იძახოდა:

—რა ვუყო ახლა, მუშები არა მყოფნის?!

— ძია სერგო, მე მოვიყვან მუშებს, თუ ისინი საჭირო არიან, — მიუგო ბიჭუნამ, რომელიც აქ ეხმარებოდა აგურის გადმოყრაში.

— აბა გაიქეცი, მოიყვანე, ვისაც კი ხელში რამის დაჭერა შეუძლია, — დაუდასტურა ამწყობმა სერგომ და გაბრუნდა.



საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფრონტზე—
იყავ მზად!

გახარებული ბიჭუნა გაიქცა, ქუჩებზე მიუხმ - მოუძახა ხალხს, ასამდე კაცი დაგროვდა, და მათაც დაიწყეს მუშაობა.

მრავალი ასეული ადამიანი ერთი მეორეში აირია; ეჯიბრებოდნენ თავის უფროსებს. საღამოს ეს გრძელი და ტრიალი მინდორი, სადაც ზამთარ - ზაფხულ ხმელი ქარები დაქროდნენ, ქვით, აგურით, კირით და ხრეშით აივსო. ელექტრობაზე მომუშავეები ასობდნენ ფიჭვის სვეტებს, აბამდნენ ზედ მავთულებს, წყალსადენის მუშებს გამოჰყავდათ მილები და ონკანები...

უკვე დაღამდა. ქალაქიდან მოვიდა მუშების მეორე ცვლა, და განაგრძეს სამუშაოებიც. ეს ვეება მინდორი მთლად თხრილებით იყო გადასერილი. პირველ შეტევაზე დამარცხებული მინდორი დანებდა ადამიანს.



## რა გააკეთე „პიონერი"-ს ტირაჟის ასაწევად?

II.

ასე დაჩქარებით მოდიოდა ყოველდღე მასალები. ასეული მუშები არღვევდნენ ბალავერს, ასხამდნენ ბეტონს, აყალიბებდნენ ცემენტის კედლებს, შენობა იზრდებოდა ყოველ წუთს. ხარაჩოები თანდათან ზევით ადიოდა. რკინის გზამ გამოიყვანა ახალი ჩიხი. მოდიოდა მორებით, ხრეშით, აგურით, ცემენტის კასრებით დატვირთული მატარებლები. შუადღის თორმეტამდე ამდენ მასალიდან არარაფერი რჩებოდა: ის ინთქმებოდა ამ ვებერთელა ხალხის გროვისაგან. თითქოს რკინასა და ბეტონს იყვნენ მოშივებული.

მტკვრის პირისაკენ, სადაც ვერც კი მოიფიქრებდი, რომ სახლი აშენდებაო, — დაზობლავდნენ ინჟინერები, კერძო მოქალაქენი, არჩევდნენ სამოსახლოებს და სანამ გეგმას შეადგენდნენ, მოჰქონდათ მასალა. აქაც მისია რამდენიმე ასეული მუშა - კალატოზი, ითხრებოდა ულრმესი ბალავრები, პირდაპირ მტკვრის პირად აშოშენებულმა თაღებმა შეჰკრეს და კლანჭებში ჩაიჭირეს მდინარე. ისინი თითქოს ემუქრებოდნენ მტკვარს ამოხვრეპას. რამდენიმე ათასი მიესია მდინარის კლდოვან ნაპირებს... სკდებოდა ნაღმები, ინგრეოდა კლდეები, მდინარე გადადიოდა ახალ კალაპოტში, და ეს გმირი ადამიანები რომელთა ძალაც აქნამდე არავის ენახა, უწყალოთ არღვევდნენ მრავალი ათასი მილიონი წლობით ჩაწოლილ მიწის ფენებს.

რამდენიმე კილომეტრის სიგრძეზე ქალაქის უნივერსიტეტმა გააკეთა კარვები.

იქ სტუდენტები იძინებდნენ ღამე მუშებთან. დილას მუშათა არმიასთან ერთად, ეს მომავალი ტეხნიკოსები ზომავდნენ ყოველ ფეხის გადადგმას, აგროვებდნენ ყოველგვარ ნიმუშს, იწერდნენ უბის წიგნაკებში. მათ დაჰყვებოდნენ პროფესორები, პრაქტიკულად მომუშავე ინჟინრები უკითხავდნენ ლექციებს.

ანგარიშობდნენ და დილიდან საღამომდე მუშაობდნენ, მოდიოდნენ ექსკურსიები რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, აფხაზეთიდან, აჭარისტანიდან და ოსეთიდან. წინა დღით მოსულ მნახველს აკვირვებდა, რომ მეორე დღეს ეს გიგანტური შენობა სამი მეტრით იყო ამაღლებული.

აწყობდნენ ფოლადის და თუჯის უდიდეს მილებს. ახალ - ახალი მილები დღითი - დღე იზრდებოდა წარმოუდგენელი სისწრაფით. სიმაღლით ისინი სამჯერ აჭარბებენ ტრამვაის ელსადგურის დიდ მილს, რომელიც ფუნიკულიორს უსწორდებოდა თავისი სიმაღლით, მხოლოდ ოთხჯერ უფრო მაღალი იყვნენ, ვიდრე ნავთლუღის რადიოანძები.

ასეთ მუშაობაში მიდიოდა დღეები, ღამეები, კვირეები, და სულ სამ თვეზე აიგო ლითონის ქარხნის ოთხი დიდი კორპუსი, უამრავი მილით, უთვალავი ფანჯრით, თაღებით, კარებით, ალაყაფებით, დიდი მანქანე-



## გამოიწვიოთ ერთმანეთი „პიონერი"-ს გავრცელებაში

...აგების მაგ სამუშაოზე მიიღებუ-
...ლი მუშები ქარხანაში მიიღეს მანქა-
...ნაზე სამუშაოდ.

სერგო ამწყობი დააყენეს ქარხნის
...ელექტრიკად. ბიჭუნას დედ - მამაც
...მიიღეს სამუშაოზე.

...ან დიდთამ ბიჭუნას სახლში სას-
...ტუმრო - საჭმელი და ჩასაცმელ - დასა-
...ხურავი ბლომად ჰქონდათ.

...ამავე ქარხანაში გახსნეს კოოპერა-
...ტივი, სასადილო, დაარსდა კომკავ-
...შირის უჯრედი და პიონერ კოლექ-
...ტივი. სერგო შეპირდა ბიჭუნას, რომ
...როგორც კი მუშაობის შესაძლებდა,
...მაშინვე მიიღებდა სამუშაოდ იმ მან-
...ქანაზე, რომელიც ბიჭუნას ასე ძალი-
...ან მოსწონდა. სამ თვეში აშენებულ
...ვეებერთელა ქარხანაში. და როდესაც
...ბიჭუნამ იკითხა:

— როგორ ააშენეს ქარხანა ასე
ჩქარა?

მას უპასუხეს:

— ეს არის საბჭოთა მშენებლობის
...ტემპები.

ბიჭუნასათვის ეს ახალი ამბავი აღ-
...მოჩნდა. მუშებმა კი თურმე კარგად
...იცოდნენ, რომ თუ ბურჟუების სახელ-
...მწიფო ნაბიჯის გადადგმას ათ წელს
...უნდებოდა, პროლეტარების და გლე-
...ხების სამშობლო, მშრომელთა მხარი-
...მხარ მიცემული მუშაობით. იმავე
...საქმეს მოკლე დროში სდგამს.

ბიჭუნამ თავისი თვალით ნახა და
...მიხვდა, როგორ შეიძლება ბურჟუა-
...ზიული სახელმწიფოების დაწევა და
...გასწრება, მიხვდა აგრეთვე, თუ რა
...არის „ტემპი".

**წითელი მხედარი**

## ჩინეთის რუკა (ქარტა)

ეს რუკა ამოღებულია გაზეთ „შან-
...ჰაი ბაო"-დან (ჩინეთის კომპარტიის
...გაზეთი, გამოდის საიდუმლოდ, ქა-
...ლაქ შანხაიში).

...იერებით ნაჩვენებია ჩინეთის წი-
...თელი არმიის და პარტიზანულ რაზ-
...მების — წითელი შუბების და დიდი
...დანების სამოქმედო ასპარეზი სამხ-
...რეთ და შუა ჩინეთის სხვადასხვა
...პროვინციებში.

...მუქი ფერები აჩვენებენ სადაც სა-
...ბჭოთა ხელისუფლებაა დამყარებუ-
...ლი.

...ეს იყო ამ სამი თვის წინად, ეხლა
...კი უფრო მეტი ტერიტორია უჭირავს წი-
...თელ ჯარებს სამოქმედოთ და საბჭოთა ხე-
...ლისუფლებაც მეტ პროვინციებშია
...გაშლილი.

ჩინეთის წითელი არმია, რომელიც
...თორმეტ კორპუსიდან შესდგება, ჩი-
...ნეთის კომპარტიის ხელმძღვანელო-
...ბით მოქმედებს.

მისი შემადგენლობის თითქმის
...ოთხმოცი პროცენტი შესდგება აჯა-
ხუებულ გლეხთაგან, დანარჩენი მუ-
შებია, კულები,რიკშები და მოწინა-
აღმდეგის ჯარებიდან გადმოსული
ჯარისკაცები.

კომპარტია წითელჯარში აწარ-
მოებს კულტურულ - პოლიტიკურ
მუშაობას და გამოცდილი ხელმძღ-
ვანელებით სამხედრო გაწვრთნას.

ყველა საიმედონი არიან, რევოლი-
უციონურ დისციპლინით შეკავშირე-
ბულები, მაგრამ მოწინააღმდეგეთა-
გან გადმოსული რეგულიარული ნა-
წილები ნაკლებად არიან სანდონი,
მერყევი ელემენტები არიან, რო-
გორც დაჩვეული არიან რეაქციონერ
გენერლებთან — ვინც მეტ გასამრ
ჯელოს აძლევდა, მათკენ გადადიო-
დნენ; წითლებთან თუმცა შეგნებუ-
ლად გადმოვიდნენ, მაგრამ ხელმძღვა-
ნელობა მაინც ფრთხილობს და იქ
იყენებენ მათ, სადაც ნაკლები საფრ-
თხეა. მათთან კულტ - პოლიტ მუშა-
ობაც გაცხოველებით სწარმოებს.

წითელი არმიის ჩაცმა და შეიარა-
ღება მოწინააღმდეგის ჯართან შე-
დარებით უფრო ნაკლებია, მაგრამ
მას აქვს ისეთი აუცილებელი თვისე-
ბა, რომელიც მოწინააღმდეგეს არა
აქვს — ესაა შეგნება იმისა, რომ
იცის რისთვის იბრძვის და იცის ისიც
რომ საბოლოო გამარჯვება მისია.

იარაღს და ტანსაცმელს მოწინაა-
ღმდეგის ქალაქების დაპყრობით, არ-
სენალების აღებით და ჯარის დამარ-
ცხებით იღებს, შესანახ ხარჯებს კი
აკისრებს დაპყრობილ პროვინციების
მდიდარ ფენებს — ვაჭრებსა და
მემამულეებს და აგრეთვე ხელში
ჩაგდებულ ბანკებიდან იღებს.

ყველა დაპყრობილ ადგილებში მე-
მამულეებს ჩამოერთვა მიწები და გა-
დაეცა ღარიბ გლეხობას, ქარხნებს
მუშები უდგანან სათავეში.

სადაც კი წითელი არმია შედის და
საბჭოთა ხელისუფლება მყარდება—
მშრომელი ხალხი მუშები და გლე-
ხები აღფრთოვანებით ეგებებიან და
ყოველი მხრით ხელს უწყობენ.

მოწინააღმდეგე მთავრობის მოხე-
ლეები, ჯარი, პოლიცია და იმპერია-
ლისტები: კონსულები, პლანტატო-
რები და სხვანი გარბიან.

სოციალიზმის შენებად—წინ იარ!




დავეხმაროთ ჩვენს უცხოელ ამხანაგებს!

## შევისწავლოთ სამხედრო საქმე

# რევოლუციონურ ახალგაზრდათა მოძრაობის ისტორიიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს რევოლუციონური ახალგაზრდობა მეთექვსმეტეჯერ დღესასწაულობს ბრძოლისა და გამარჯვების დღეს. მუშა ახალგაზრდობა დღეს კაპიტალისტურ ქვეყნებში კომკავშირის ხელმძღვანელობით, შემჭიდროებული რიგებით მეთექვსმეტეჯერ გამოვა ქუჩებში იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

რევოლუციონურ ახალგაზრდათა მოძრაობას, რომლის ტალღები მთელი მსოფლიოს კაპიტალისტურ ქვეყნებს ედება, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიწურულში ჩაეყარა საძირკველი. მუშა ახალგაზრდობის პირველი დამოუკიდებელი ორგანიზაცია დაარსდა 1885 წელს ჰოლანდიის სამრეწველო ქალაქში — ანტვერპენში, 1886 წელს კი ბელგიაში დაარსდა ახალგაზრდა რევოლუციონერების კავშირი — „ნორჩი გვარდია". აქედან იწყება პროლეტარიატის ნორჩი თაობის ორგანიზაციების ჩამოყალიბება შვეციაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, იტალიაში, ნორვეგიაში, სამხრეთ გერმანიაში და სხვა ქვეყნებში.

ახალგაზრდათა ორგანიზაციებს პირველ წლებში არ ჰქონდათ სამოქმედო გეგმა, ისინი პირველ ხანებში არ წარმოადგენდნენ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, და ამიტომ ამ ორგანიზაციების საქმიანობა უმთავრეს შემთხვევაში ვიწრო კულტურული ამოცანებით იყო შემოფარგლული. გარდა ამისა, ახალგაზრდათა ორგანიზაციები ცალკეულ ქალაქებსა და ქვეყნებში არსებობდნენ. მათ არ ჰქონდათ ურთიერთშორის კავშირი და მათი სამოქმედო ასპარეზი ქალაქის მასშტაბს ვერ შორდებოდა.

ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ახალგაზრდათა ორგანიზაციებმა შესძლეს „ჩინური კედლების" გადალახვა და ცალკეული ქალაქებისა და ქვეყნების ახალგაზრდათა ორგანიზაციებმა ურთიერთშორის გააბეს კავშირი. ამრიგად წარმოიშვნენ რევოლუციონურ ახალგაზრდათა ნაციონალური გაერთიანებანი. პირველად გაერთიანდნენ ნორვეგიის ქალაქების პროლეტარული ახალგაზრდობის ორგანიზაციები — „ნორვეგიის ახალგაზრდათა სოციალ-დემოკრატიული კავშირის"-ს სახელწოდებით. ასევე გაერთიანდა სხვა ქვეყნების ახალგაზრდათა რევოლუციონური ორგანიზაციები. მაგალითად, შვეციაში დაარსდა „შვეციის ახალგაზრდათა სოციალისტური კავშირი", ესპანეთში — „ახალგაზრდობის სოციალისტური ფედერაცია", გერმანიაში — „მუშა ახალგაზრდობის კავშირი" და სხვა.

ზემოჩამოთვლილი ორგანიზაციები თუმცა „სოციალისტურ" სახელს ატარებდნენ, მაგრამ მათ სოციალიზმისათვის ბრძოლის ამოცანები გარკვეული არ ჰქონდათ.



ამხ. კ. ლიბკნეხტი

მალე ახალგაზრდათა ორგანიზაციებში წარმოიშვა ნაციონალური ორგანიზაციათა გაერთიანების იდეა. 1906-7 წლებში რევოლუციონურ ახალგაზრდათა ორგანიზაციებმა გამოსთქვეს სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდათა ორგანიზაციების საერთაშორისო გაერთიანების სურვილი.

ახალგაზრდათა ორგანიზაციების საერთაშორისო გაერთიანებათა იდეის განხორციელებას სათავეში ჩაუდგა საერთაშორისო პროლეტარული ახალგაზრდობის დაუვიწყარი ბელადი **კარლ ლიბკნეხტი**. კარლ ლიბკნეხტის მეთაურობით ქალაქ შტუტგარდტში (1907 წელს) მოწვეულ იქნა ყველა ქვეყნის ახალგაზრდათა ორგანიზაციების კონგრესი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რევოლუციონური ახალგაზრდობის მსოფლიო გაერთიანებას. ამავე კონგრესმა დაარსა ინტერნაციონალის საერთაშორისო ბიურო და მას დაავალა ყველა ქვეყნის ახალგაზრდათა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა.

სოციალ-დემოკრატების ბურჟუაზიულმა პოლიტიკამ ბურჟუაზიულ ქვეყნებში შეანელა ახალგაზრდობის რევოლუციონური მოძრაობა. მსოფლიო ომის პირველ წლებში სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდათა ორგანიზაციები იძულებული შეიქნენ კავშირი გაეწყვიტათ ერთმანეთთან. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. რევოლუციონურად განწყობილი ახალგაზრდობა ხედავდა მსოფლიო ომის მთელ სიძნელეებსა და საშინელებას. ის მზად იყო მთელი თავისი სისასტიკით გალაშქრებულიყო ყაჩაღების წინააღმდეგ. რევოლუციონურმა ახალგაზრდობამ პირველად აღიმაღლა ხმა მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ.

1915 წელს, აპრილში, ქალაქ ბერნში, იტალიის, შვეციის, გერმანიის და სხვა ქვეყნების ახალგაზრდათა ორგანიზაციების ინიციატივით, შესდგა ახალგაზრდობის სოციალისტურ ორგანიზაციათა პირველი კონფერენცია; კონფერენციის მთელი ყურადღება უმთავრესად მიმართული იყო მსოფლიო ომის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებისაკენ. კონფერენციამ დაადგინა, რომ სექტემბრის პირველი კვირა გამოცხადებულიყო ახალგაზრდათა საერთაშორისო ანტი-იმპერიალისტურ დღედ, რომ ამ დღეს მსოფლიოს რევოლუციონური ახალგაზრდობა გამოსულიყო მსოფლიო მტაცებლების წინააღმდეგ. პროლეტარული ახალგაზრდობის მებრძოლი ხმა მსოფლიო ომის წინააღმდეგ პირველად გაისმა 1915 წლის 3 სექტემბერს. 1915 წელს, როდესაც ყაჩაღურ ომში ჩაბმული იყო ევროპის თითქმის ყველა ძლიერი სახელმწიფო, გაისმა რევოლუციონური ახალგაზრდობის პროტესტი კაპიტალისტური ომის წინააღმდეგ. ამ დღეს კაპიტალისტური ქვეყნების მთავარ ქალაქებში მოეწყო პროლეტარული ახალგაზრდობის ანტი-იმპერიალისტური დემონსტრაციები. დემონსტრაციების ლოზუნგი იყო „ძირს სისხლისმღვრელი ომები", „ძირს მსოფლიო კაპიტალიზმი" და სხვა. ასეთივე დემონსტრაციები მოეწყო 1916 წელს, სექტემბრის პირველ კვირას. მიუხედავად პოლიცია-ჟანდარმერიის სასტიკი რეპრესიებისა (დევნა, დაპატიმრება, გადასახლება და სხვა) რევოლუციონური ახალგაზრდობა უშიშრად გამოდიოდა ქუჩებში. მართავდა საპროტესტო მიტინგებს და სხვა.

1919 წლიდან რევოლუციონურ ახალგაზრდათა ორგანიზაციებს სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი. დღეს კომკავშირი ხელმძღვანელობს მსოფლიო ახალგაზრდათა კომუნისტურ ორგანიზაციებს. საზღვარგარეთის კომკავშირი მტკიცედ და ენერგიულად იბრძვის ბურჟუაზიული ახალგაზრდობის ორგანიზაციების დასაშლელად. მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის კომკავშირის გარშემო დასარაზმავად.

საზღვარგარეთულ ორგანიზაციებში თანდათან ძლიერდება ახალი ომების საწინააღმდეგო მუშობა. დღეს, როდესაც ომის საფრთხე ცხადია, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში ემზადებიან ახალი სისხლის მღვრელი ომებისათვის, — საერთაშორისო რევოლუციონურმა ახალგაზრდობამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ომის საწინააღმდეგო პროპაგანდა.



ხერხეულიძე

თამაში მ. კ. და დ. ბაღში

# მოზარდთა კულტურისა და დასვენების ბაღი

დადგა ტფილისში გაორკეცებული ზაფხული, და ირგვლივ სიცხის ალმური დატრიალდა.

პატარა გოგო - ბიჭები სკოლებიდან გაიფანტენ და ცხელ ქუჩებს მოედვენ.

ბაღი ,,არტო'' კი გაიშალა და თავისი მასპინძლური ალაყაფი გაალო.

მოელოდა სტუმრებს...

მხოლოდ ვის? ისევ იმ უსაქმურ ბაღის მოქეიფეებს?

არა. აი, დაუგდეთ ყური, რა ბავშთა კისკისია, რა საყვირის ხმა, დროშების ფრიალი..

საქმე ისაა, ჩემო პატარა მეგობრებო, რომ ეს ბაღი 1 ივნისიდან გახდა ბავშთა და ახალგაზრდათა საკუთრებად.

1 ივნისს ბაღის ესტრადიდან პირველად გაისმა ხმა:

,,ბაღი ჩვენია, ჩვენ ვართ მისი ბატონ - პატრონი და აქ უნდა ჩაეყაროს საფუძველი ჩვენი დასვენების და კულტურის კერას.''

ასე იძახდინ ათასობით შეკრებილი ბავშვები და ახალგაზრდები, ლენინის და სხვა რაიონების პიონერ - კომკავშირელები, და თაიგულებით მადლობას უხდიდენ ,,დეიდა მაროს'', რომელმაც მათ ეს ბაღი დაუსაკუთრა.

და აი, ამ დღიდან ჩაიყარა საძირკველი მოზარდთა დასვენების და კულტურის ბაღს.

დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე გაჟღეთ ბავშვებს ფუსფუსი ბაღში.

ისინი საქმიანობენ, თამაშობენ და თვითმომქმედობენ.

აგერ ფრენბურთის ორი კომანდის შეჯიბრება.

ბურთი ჰაერში ტრიალებს, მრავალი ახალგაზრდის ხელი მას ძირს დაშვების ნებას არ აძლევს; კონტროლი კი ავტომატიურად სთვლის 3 : 2; 0 : 1 — გამარჯვება პირველისაა.

აგერ უმცროსნი საქანელაზე ჭერამდე შექანებულან, გული უძგერთ, მაგრამ მაინც უზომო სიხარულს გრძნობენ არაჩვეულებრივი მოძრაობიდან.

ან ,,კროკეტით'', ,,კეგლით'', ,,სამი ბეჭდით'', და სხვა მრავალი სათამაშოებით ერთობიან პატარები.

,,პირამიდა, პირამიდა გავაკეთოთ, არჩილ'', — ეხვეწებიან ფიზკულტურის წრის ხელმძღვანელს ახალგაზრდები.

და იხლართება ჯანსაღი ჭაბუკების სხეული სახვადასხვა პირამიდით.

თქვენ გაგაოცებთ პეპელასავით მოცექრიალე გოგონები, ესტრადაზე რიტმიულ ტეკვას რომ სწავლობენ

მათ თვალებში უზომო კმაყოფილება და სიხარული გამოსჭვივის.

მაგრამ არიან ,,სერიოზულად,, გაწყობილი ბავშვებიც, რომლებიც მისხდომიან გულმოდგინეთ წიგნებს ბიბლიოთეკაში და გატაცებით კითხულობენ. მათ შეუძლიათ მოიკითხონ ქართული, რუსული და სომხური წიგნებ - გაზეთები.

მათ შეუძლიათ წაიკითხონ, როგორც საბავშო, აგრეთვე უფროსი ასაკის შესაფერისი ლიტერატურა.

ხშირად აქვე ხდება ჭადრაკის მოთამაშეთა შეჯიბრება, დამარცხება და გამარჯვება.

აგერ ჩამოჰკრა ზარმაც, და ყველა წითელნიშნიანი ბავში—მორიგეები—დაფაცურდა.

ისინი შეუდგენ სათამაშოების და წიგნების ალაგებას და სანახაობის დარბაზის მოწესრიგებას.

აივსო დარბაზი, ხმაურობს აუდიტორია, ელის სანახაობას; საბავშო თვალწამტაც კინოსურათებს, მოსკოვის ტიკინების და ტანტმორესკის თეატრის წარმოდგენას, გარმონისტების და სიმფონიური ორკესრის კონცერტს. რიტმიკის კლასიური ცეკვას და ან თვითმოქმედ ბავშთა დრამწრის წარმოდგენას.

ასე ათავებს მოზარდი თავის დასვენების და გართობის დილა - საღამოს და წითელფოჩიანი მორთული საყვირის ხმაზე სტოვებს ბაღს, რომ ჯანსაღი ძილის შემდეგ კვლავ დაპრუნდეს მას.

## გამოწერილი გაქვს თუ არა ,,პიონერი''?

ნიკ. კახურელი.

## წინ მივდივართ

ქ. დუშეთში არსებობს პიონერ-კოლექტივი, რომელიც შესდგება 260 პიონერისაგან; კოლექტივი დანაწილებულია რგოლობად.

რგოლის თაიბადაპიონერ-კომკავშირელები არიან, რომლებიც შედიან საბჭოებში. კოლექტივში გამოდის კედლის გაზეთი ,,ლენინის გზით'', სადაც შუქდება ყოველგვარი ნაკლი და მიღწევები.

კოლექტივში არის აგრეთვე წრეები, როგორიცაა: უღმერთოთა წრე, მსუბუქი კავალერია, რემონტის უჯრედი.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მალე დუშეთის კოლექტივი მისაბაძი გახდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პავლე გუნიავა

# ჭიათურის პიონერთა ორგანიზაციის მდგომარეობა და მომავალი ამოცანები

დღეს ყველასათვის ფაქტია, რომ პიონერთა მოძრაობა ღრმად იდგამს ფესვებს და სწრაფად ვითარდება. ამ განვითარების სწორი გზით წარმართვა პარტიისა და კომკავშირის სათანადო ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული. ამიტომ პიონერ-ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ერთი ძირითადი საკითხია, რომლის გადაუჭრელად წყლის ნაყვა იქნებოდა მუშაობის გაშინაარსიანებაზე ლაპარაკი.

ამისათვის საჭიროა პიონერმუშაკების მომზადება, პარტიული და კომკავშირული ხელმძღვანელობის გაძლიერება.

ადგილებზე პარტიისა და კომკავშირის უჯრედების ხელმძღვანელობა ძალზე სუსტია. ეს აღნიშნა კავ. მეოთხე კონფერენციამ და ღონისძიებებიც დასახა, რომლის პრაქტიკულად განხორციელება აუცილებელია.

გარდა ამისა, კ. კ. ზოგიერთი უჯრედი ორგანიზაციულად ვერ არის დაკავშირებული პ.-კოლექტივების მუშაობასთან. პიონერთა შორის მომუშავე კომკავშირელების დაუფასებლობასაც ხშირად ვხვდებით.

შემდეგი საკითხია ორგანიზაციის ზრდა, ზრდის საკითხშიც დიდი მიღწევები გვაქვს; თუ 1929 წლისათვის გვყავდა 1000 პიონერი, 1930 წლისათვის გვყავს 3.000 პიონერი. მაგრამ ეს კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი, ლოზუნგი: „არცერთი კ. კ. უჯრედი პ.-ორგანიზაციის გარეშე" არ არის შესრულებული, ამ მხრივ საჭიროა განსაკუთრებული მუშაობის წარმოება შეკავშირებულ ახალგაზრდობაში. საჭიროა ცეკას ლოზუნგის „მთელი სკოლების პ.-ორგანიზაციად გადაკეთება"—შესრულება.

ჩვენმა პ.-ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს საგაზაფხულო თესვის კამპანიის, უტილნედლეულის მოგროვებისა და კულტლაშქრობის ფრონტზე.

პ.-ორგანიზაციის გაჯანსაღების მიზნით შეძლებით ბანაკობის მოწყობა და 175 პიონერის გაგზავნა. მიღწევები გვაქვს, მაგრამ ნაკლიც თან მოსდევს, რისთვისაც საჭიროა მთელი კ. კ. ორგანიზაციების დარაზმვა ნაკლის აღმოსაფხვრელად.

დღეს პიონერთა ორგანიზაციის მთავარ ამოცანად უნდა დაისახოს:

1) ბავშვთა კომუნისტური აღზრდის გაძლიერება სოციალისტური მშენებლობაში ბავშთა ფართე მასების ჩაბმისა და პ.-ორგანიზაციის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის კლასობრივი ბრძოლის ამოცანებთან შეფარდების საფუძველზე.

2) ნ. პ. მუშაობაში სასკოლო მუშაობას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, დღეს კი, კულტურული რევოლიუციის ამოცანებთან დაკავშირებით, ეს მუშაობა უნდა გაორკეცდეს, მიუხედავად მთელი რიგი მიღწევებისა, უნდა შევსძლოთ სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელობა, ბრძოლა ძველ ყოფა-ცხოვრებასთან და აკადემიურ ჩამორჩენილობასთან, ღარიბ მოწაფეების დახმარება და სავალდებულო სწავლების განსახორციელებლად სათანადო ხელმძღვანელობა-დახმარების გაწევა.

3) პედაგოგებისა და სხვა სპეციალისტების ჩაბმა პიონერმუშაობაში.

4) საწარმოო საკითხების დამუშავება, საწარმოო-საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულების ხელის შეწყობა და პიონერთა ბრიგადების გაგზავნა წარმოებებში მავნებლობის აღმოსაჩენად.

5) განსაკუთრებული მუშაობის წარმოება სოფლად, კოლმეურნეობებში, ინდივიდუალურ მეურნე-გლეხობაში; მათ უნდა გავაგებინოთ და ავუხსნათ კოლექტიური მეურნეობების აუცილებლობა, ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობისათვის რა დიდი მნიშვნელობა აქვს დაქუცმაცებული მეურნეობების გარდაქმნას კოლექტიურ პრინციპებზე.

სათანადო კულტურულ-მასიური მუშაობის წარმოება სოფლად ქოხ-სამკითხველოებში. პიონერების მიერ გაზეთ-ჟურნალების ხმამაღლა კითხვა, საღამოების მოწყობა და გართობანი.

6) ქვრივ-ობლებისა და წ.-არმ. ოჯახებისთვის სათანადო დახმარების გაწევა.

პიონერთა ორგანიზაცია მუშაობის ძირითად სათოძვლებად აღიარებს საზოგადოებრივ-პრაქტიკულ მუშაობას.

პ.-ორგანიზაციამ მოზარდი თაობა უნდა აღზარდოს კომუნიზმის პრინციპებზე, მან უნდა შეასწავლოს ნორჩ თაობას ბრძოლა ძველი საზოგადოების წინაამდეგ და მოამზადოს ის ახალი საზოგადოების მშენებლად.

აი მთავარი ამოცანები, რომელიც წამოჭრილია დღეს ჩვენს წინაშე.



პიონერები პურის დამზადების ფრონტზე.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია

მთავლიტი № 1682. სტამბა „კოლექტივი" შეკვეთა № 2951 ტირაჟი 8500

ფასი 50 კაპ.

# გამოიწერეთ
## ჟურნალი

პიონერი
პიონერი
პიონერი

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

რუსთაველის პროსპექტი № 22 ტელ. 23-25